# სახალხო გაზეთი

№ 481 ოთხშაბათი, 21 დეკემბერი, 1911 წ. № 481

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**კასირების ნ. გამყრელიძის და ს. ედილაშვილის ბენეფისი** ხუთშაბათს, 22 დეკემბერს, 1911 წ. **ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და ვ. აბაშიძის** მონაწილეობით ქართ. დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: პირველად ქართულ სცენაზე ცნობილი პიესა ბისსონისა

**უცნობი**

(Madame X)

დრამა 5 მოქ. თარგმ. ნარკანისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. **დასაწყისი საღ. 8 საათზე.**

ადგილების ფასი საბენეფისოა. შემდეგი ბენეფისი **ვ. გუნიასია;** წარმოდგ. იქნება **იულიოს კეისარი.**

**ანონსი:** „ანტიგონე", „პატარა კახი", „სირანო დე ბერჟერაკ" და სხვ.

(3.997.2) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

20 **მიიღება ხელის მოწერა დეკემბრიდან თებერვლამდე** 20

დ. უზნაძის წიგნზე

**ექსპერიმენტალური პედაგოგიკა**

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში". თბილისში: „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

(10 1655 1) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

**ტფილისის კრუჟოკის დარბაზებში**

ოთხშაბათს, **28 დეკემბერს, 1911 წ.** საზოგადოება „**განათლება**" მართავს თავის სკოლების სასარგებლოდ **„მე-4 ისტორიულ საღამოს".** სცენაზე დაიდგმება ცოცხალი სურათები: 1) რაინდთა კურთხევა საქართველოში საშუალო საუკუნოებში. 2) ბერძნულ მითოლოგიიდან: ამური და ფსიხეა, პარისის გადაწყვეტილება. ძველი დროის ბერძნული ცეკვა. დარბაზები მორთული იქნება ბერძნულსა და ქართულ გემოვნებაზე: ბერძნული კოლონადა, ვენერას მღვიმე, (ბერძნული) ნანგრევები და სხვა. სურათების დადგმას და დარბაზების მორთვას განაგებს მხატვარი ტარი. საღამოს დიასახლისი **ქნ. ნ. ქობულაშვილისა.** ფასი 2 მან. 10 კ. დასაწყისი საღ. 9 საათზე. ბილეთები იყიდება დიასახლისთან (ჭავჭავაძის ქუჩა) და „ჯეჯილის" რედაქციაში, არტილერიის ქუჩ. № 5.

(3.1001.1)

**ახალი კლუბი**

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აცხადებს, რომ

**საზოგადო კრების**

გაგრძელება დანიშნულია ხუთშაბათს, 22 დეკემბერს, 1911 წ., საღამოს 8 საათზე.

(1.1650.1)

-::: **ბეწვეულისა და ქუდების** :::

სპეციალურ **„რენომე"** მაღაზიაში

**მიხეილის ქუჩ. № 36, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ,**

მივიღეთ დიდ ძალი სასეზონო საქონელი: კაცის ქუდები და შლიაპები 1 მ. 50 კაპეიკიდან 15 მანეთამდე; ბოა, მუფტები და ქალის ქუდები 1 მ. 150 კ-დინ—50 მანეთამდე. აგრეთვე გვაქვს კაცის კეპკები—1 მ.-დან—3 მანეთამდე.

3. 998. 1.

პატივისცემით **გრიგორიანცი,**

**საბურთალოზე** **მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან, მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 სათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 195)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 2 11 საათამდე და საღამოს 5 7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100 1534 56).

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

**განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

**ტელეფონი № 509.**

სტაციონალურ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღე და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები;

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½ ს. 11 ს.

**დავთიანი რ. ს.** შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1 2 ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10 12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9 10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2 3 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2 2½ საათ., **დროებით წასულია.**

**მზარეულოვი მ. ი.** კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1 1½ ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10 12 ს.

**მიქელაძე შ. ა.** შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½ 1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12 1 ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ-დღე 12 1 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოველ-დღე, 9 11 ს.

**სულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12 1 ს. **დროებით წასულია.**

**წამლობა „606"-ით.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი (Ehrlich-Hata). აქვს აგრეთვე საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ. 1089. 506)

**„სახალხო გაზეთის" კანტორა**

ღიაა დილის 9 საათიდან

**საღამოს 8 საათამდე**

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**. ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.**

(წლ. 1090 236)

**დოქტორი მედიცინისა**

**ე. ი. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ. 1591 68)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12 1 ს., საღ. 6 7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 74).

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.33).

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი გ. მ. ლოლობერიძე**

იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4 - 6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.

კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, **№ 16, ტელ. 693.** (თ—1657—1)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი ნ. ტ. მულინი**

ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე. სერგეევის ქ. 8. (თ. 1545 49).

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 საათამდე.

ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100 1117 63).

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი მ. ს. კობერიძე**

**ქ. გორში**

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9 12 ს.-მდე. საღ. 5—7 სემინარიის ქუჩაზე, სახლი № 1 ზანგურიძისა. (25 968 9)

**ექიმ ს. დიდიძის**

მაგივრად მის კაბინეთში ღებულობს ავადმყოფებს.

**ექიმი გ. ლოლობერიძე**

ყოველ დღე საღამობით 6 8 ს. ელისაბედის ქუჩა № 92, ტელეფ. № 1141. წამლობა ფოსფაციდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25 1593 21)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 53).

**ექიმი გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადყმ. კუჭისა და ნაწლებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.) და 6—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპ. № 36. ტელეფონი № 322. 25—1442—93.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**საპარიკ-მახერო**

გადმოვიტანე ახალ-ბინაზე ძმ. ფორერის სახლებში, ტატიანის და მიხეილის ქუჩის კუთხეში. (ახალ შენობაში).

პატივის ცემით

(2 1003 1) **გიორგი მეტრეველი.**


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

გაზეთ „ნოვოე ვრემიას" „ცნობილი" კორესპონდენტი ბ. ზატერიანი კავკასიის ოლქის მზრუნველის უკანასკნელ ანგარიშს არჩევს თვის კორესპონდენციაში და ჩვეულებრივად კავკასიის მცხოვრებელთა წინააღმდეგ ილაშქრებს. ზატერიანი ასე იწყებს თვის წერილს:

კავკასიის ოლქის მზრუნველის უკანასკნელი ანგარიში საკმარისად ნათელ სურათს იძლევა ამ მღელვარე და ბოროტებით სავსე განაპირა ქვეყნის სასკოლო საქმის ვითარებისას. გამოუთქმელი მწუხარებით (?) რწმუნდებით ამ ოფიციალურ საბუთის წაკითხვის შემდეგ, რომ უკულტურობა, ზნე-ჩვეულების სიტლანქე, რევოლიუციონერობა და პოლიტიკანობა ხვედრია არა მარტო მამების, არამედ შვილებისაც.

ზატერიანის აზრით, თუმცა, მთავრობა ყოველივე საშუალებას ხმარობს სასკოლო საქმის შესაფერ მდგომარეობაში ჩასაყენებლად, მაგრამ კავკასიის საერთო გახრწნა მძლავრად მოქმედობს ახალგაზდობაზე და მას გარყვნილებასა და ბოროტების გზაზე მიაქანებს. გაზეთი ხელზე იხვევს ქუთაისის გიმნაზიაში წასულ წელს მომხდარ ინცინდენტს და თავის მხრით დასძენს: ქუთაისის გიმნაზია კავკასიაში ერთი უკიდურესი რევოლიუციონური გიმნაზიათაგანიაო. თურმე, ასეთი აზრის საბაბი ქუთაისის გიმნაზიის მე-VII და მე-VIII კლასის მოწაფეების მიერ „რევოლიუციონერ" მურომცევის ხსოვნის პატივისცემა ყოფილა. ზატერიანს მოჰყავს ოლქის მზრუნველის აზრი, რომელიც ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარ ამბების მიზეზად პირველად ყოვლისა მასწავლებელთა ყოყმანობისა და არა შესაფერ მოქმედებებს სთვლის.

არა უკეთეს პირობებში იმყოფება, თურმე, კავკასიის დაბალი სკოლები.

ათავებს რა ოლქის მზრუნველის ანგარიშის განხილვას, ზატერიანი ამბობს:

გადიკითხავ-რა ბ. რუდოლფის ანგარიშს, ამ სამწუხარო ფურცელს ღრმად ავადმყოფ კავკასიის სკოლებისას, გიჭირს გაარკვიოს, ვის ეკუთვნის პირველი ადგილი კავკასიის საზიზღარ აურზაურში, მამებს თუ შვილებს, ხშირად ბავშვებთა პატარა ჯგუფი შიშის ზარსა სცემს სოფლის მთელ რაიონებს.

ზატერიანი იგონებს სიღნაღის მაზრაში სამი რუსის მოკვლას და, რასაკვირველია, ამ საქმის ჩადენას და ისიც ეროვნულ შუღლის ნიადაგზე თავს ახვევს ადგილობრივ მცხოვრებლებს.

დიაღ, ისეთი სიწყნარეა კავკასიაში, რომ ლაპარაკიც აღარ ღირს.

ათავებს წერილს ბ. ზატერიანი.

## ახალი ამბავი

### ტფილისი.

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ:** 18 დეკემბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი გენერალ-მაიორი ბარონ როპი, 19 დეკემბერს, ბაქოს ნავთის მწარმოებელთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ი. გულიევი.

✦ **შეწირულება.** ვაჭარმა ვართანოვმა 1,000 მან. გადასცა ქართულ გიმნაზიის სკოლის კომიტეტს იმ პირობით, რომ ეს ფული ბანკში ხელუხლებელ თანხად იქმნას შეტანილი და მის სარგებლით ქართულ გიმნაზიაში სტიპენდია იქმნეს დაარსებული შემწირველის მამის სახელობაზე.

✦ **სრულიად სომეხთა კათალიკოსის** კანდიდატთა არჩევნების ფურცელი კავკასიის ნამესტნიკს წარუდგინა.

✦ **კავკასიის უნივერსიტეტი.** როგორც ტფილისში მიღებულ ცნობებით სჩანს, მინისტრთა საბჭო კავკასიის უნივერსიტეტის საკითხს 29 დეკემბერს განიხილავს, ან მომავალ იანვრის პირველ რიცხვებში.

✦ **საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი,** როგორც პეტერბურგიდან მიღებულ ცნობებით სჩანს, ტფილისში დღეს ჩამოვა.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულოს** კრება ხვალ მოხდება იმ ახალგაზრდათა შესამოწმებლად, რომელნიც სამხედრო ბეგრის მოსახდენად მხოლოდ ახლა გამოცხადდნენ. ჯარში მისაღებთა სრულ კომპლექტს ამ ჟამად 27 კაცი აკლია.

✦ **სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის** გამგეობამ დაადგინა, 28 და 30 დეკემბერს სახალხო საბავშო წარმოდგენები გამართოს.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ქალაქის თვით მმართველობის წინაშე შუამდგომლობს, ვაჟთა მეხუთე გიმნაზიას დახმარება აღმოუჩინოს. შუამდგომლობას ქალაქის საბჭო თავის უახლოეს კრებაზე განიხილავს.

✦ **თ. ი. როდიჩევის ლექცია.** კავკასიის ნამესტნიკის ნებართვით სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი თ. ი. როდიჩევი 22 და 23 დეკემბერს საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ლექციებს წაიკითხავს. 20 დეკემბრისთვის აღებული ბილეთები 22 დეკემბერს გამოდგება, ხოლო 22 დეკებრისათვის აღებული ბილეთები 23 დეკემბერს. ბილეთები იყიდება.

✦ **ბ-ნნი თაგუნა და ეშმაკი** მოკლე ხანში სახალხო სახლში იუმორისტიულ საღამოს გამართავენ. ასეთივე საღამო 9 დეკემბერს ქუთაისშიც გამართეს და ხალხს მოეწონა.

✦ **ქალაქის ლაბორატორიისთვის** საკუთარის შენობის აგებას აპირებენ. ქალაქის თვითმმართველობაში შესაფერს გეგმასა და ხარჯთ-აღრიცხვას ადგენენ.

✦ **ექსკურსია.** ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის უფროს (4) კლასის მოსწავლეთა ექსკურსია 1 იანვარს ბათომისაკე მიემგზავრება.

✦ **ტრამვაის დირექცია.** ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიას დღემდე 197,000 მანეთი დაუჯარიმებია.

✦ 19 დეკემბერს ტფილისში 28 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ უკვალოდ დაიკარგნენ ტფილისში: მიხეილის ქუჩაზე მცხოვრები 19 წლის ქალი ადელანოვაკისა და შუშის ქუჩაზე მცხოვრები მაჰმედ ჰუსეინ აბას ყული ზაქიევი.

✦ **ქველ-მოქმედთა საყურადღებოდ.** ჯიგრაშენის ეკლესიის ქვემოდ, **ნაპშირის მოედანთან, მამაცოვის სახლში № 4,** სცხოვრობს ყოვლად უმწეო **ქვრივი ეკატერინე არუთინოვისა,** რომელსაც გუბერნატორმაც ნება დართო დახმარება მოჰკრიბოს. გულმოწყალე ხალხს ვსთხოვთ ყოველგვარი დახმარებას ზემოხსენებულ მისამართით მიაწოდოს.

### საზოგადოებანი და კრებები.

✦ **სამღვდელოების კრება.** როგორც ვწერდით, 17 დეკემბერს ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება დაიწყო. დილით არჩეულ იქმნენ კრების თავმჯდომარე, მისი ამხანაგი და საქმის მწარმოებელნი. საღამოს კრებამ სამი კომისია აირჩია. პირველ კომისიას დაევალა განაწილება ღარიბ ეკლესიათა შორის იმ 2,433 მან. 85 კაპეიკისა, რომელიც სინოდისაგან გადადებულ 10,000 მან. ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ ქართლ-კახეთის ეპარქიის ეკლესიებისთვის გადასდო. მეორე კომისიას დაევალა, რევიზია გაუკეთოს სანთლის საეპარქიო ქარხანას. მესამე კომისიას დედათა საეპარქიო სასწავლებლის რევიზია დაევალა. პირველ კომისიაში შედის თვითეულ მაზრის თითო დეპუტატი. მეორე კომისიაში აირჩიეს: მღვდ. ა. ჯალიაშვილი, ი. მიხაილოვსკი და დ. მარსიაშვილი. მესამე კომისიაში აირჩიეს: ბლაღოჩინი მღვდ. კ. პოლიტოვი, მღვდ. ხუციშვილი და კ. ხვთისავარიშვილი. კრებამ აგრეთვე აირჩია დეპუტაცია, რომელმაც ნამესტნიკის მეუღლეს გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასულს მადლობა უნდა გამოუცხადოს დედათა საეპარქიო სასწავლებლისათვის. ზრუნვისათვის. დეპუტაციაში აირჩიეს: დეკანოზი დ. ხახუტაშვილი და მღვდლები ი. მიხაილოვსკი და ვ. კარბელაშვილი.—დასასრულ კრებამ დაადგინა, დაესწროს 18 დეკემბერს ქველმოქმედის დ. ზ. სარაჯიშვილის პანაშვიდს და აგრეთვე პანაშვიდი გადაიხადოს ნ. ზ. ცხვედაძის სული სულის მოსახსენებლად. ეს დადგენილება სისრულეში იქმნა მოყვანილი. კვირას, საღამოს, კრებამ დაადგინა, ჯამაგირები მოემატოთ იმ ეკლესიების კრებულებს, რომლებიც წელიწადში 300 მან. ნაკლებს ჯამაგირს იღებენ. დასასრულ განხილულ იქმნა საკითხი დრამის შესახებ. კრებამ დაადგინა, საკითხი გადაუწყვეტი დასტოვოს, ხოლო საჭიროდ დაინახა სთხოვოს საქართველოს ექსარხოსს, რათა მან შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ სამღვდელოება ხაზინამ უზრუნველ ჰყოს ჯამაგირით. კრების გაგრძელება 19 დეკემბრის დილის 10 საათისთვის გადაიდო.

### სასწავლებლებში.

✦ **ავლაბრის სავაჟო გიმნაზიის** მერვე კლასის შესანახად ქალაქის გამგეობას დღემდე წელიწადში 3,500 მანეთი შეჰქონდა ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში. ქალაქის საბჭომ დაადგინა, 1912 წლიდან გიმნაზიას ეს დახმარება მოუსპოს.

✦ **ტფ. ქალაქის სახელოსნო სასწავლებელთან** 18 დეკემბერიდან საღამოს კურსები გაიხსნა ხელოსანთათვის. კურსებზე 45 კაცი ჩაეწერა.

### სასამართლო.

✦ **იოსებ იმედაშვილს,** რომელსაც ამას წინად სამხედრო სასამართლომ 4 წლის კატორგა მიუსაჯა, ნამესტნიკმა სასჯელი 2 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით შეუცვალა.

### სომეხთა ცხოვრება.

✦ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების** 30 წლის არსებობის იუბილე 18 დეკემბერს იქმნა გადახდილი. დღისით, 12 საათზე, საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში დაიწყო კრება ამ საზოგადოების წევრებისა და სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების წარმომადგენლებისა. კრებაზე საზოგადოების საპატიო წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი და მისი მეუღლე გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასული. ამის შემდეგ კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ კათალიკოსის იზმირლიანის ხსოვნას. წაკითხულ იქმნა საზოგადოების მოქმედების ანგარიში 30 წლის განმავლობაში. დასასრულ მისალოცი სიტყვები წამოითქვა. საღამოს „ტფილისის საკრებულო"-ში საცეკვაო საღამო გაიმართა, რომელსაც ნამესტნიკი მეუღლითურთ დაესწრო.

### პროვინცია

✦ **დიღომი.** კვირას, დეკემბრის 18-ს ს. დიღომის ადგილობრივმა მღვდლებმა მ. არსენი ფხილაძემ და მ.

იოანე სონღულაშვილმა გარდაიხადეს წირვა და პანაშვიდი დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ მამასახლისი, დიდმელები; სამრევლოს სკოლის მოწაფენი. გალობდა მოწაფეთა გუნდი.

✦ **გორი.** 18 დეკემბერს, გორის ქალაქის მოურავის თანაშემწის არჩევა მოხდა. ყუთები დაიდგეს: დ. რ. მაჭავარიანმა და ზ. დ. ქიტიაშვილმა. პირველმა მიიღო 10 თეთრი და 5 შავი კენჭი, ხოლო მეორემ—9 თეთრი და 6 შავი. ამ რიგად ორთავენი არჩეულ იქმნენ. არჩევნები დასამტკიცებლად გუბერნატორს წარედგინა.

— გორის ქალაქის თვითმმართველობამ საბოლოოდ გადასწყვიტა, შეიძინოს მიწა გორის საოსტატო სემინარიისათვის ნასყიდობის ქაღალდის შედგენა და დამტკიცება თავ. ნ. თუმანიშვილსა და ი. ნატროშვილს მიენდო.

— სახალხო უნივერსიტეტის გორის განყოფილებას ამ ჟამად 1300 მან. თანხა აქვს, რომლითაც სახალხო სახლის აშენებას აპირებს. სახალხო სახლისთვის ქალაქის თვითმართველობა განყოფილებას უფასოდ მიწას უთმობს კლუბის გვერდზე, მაგრამ განყოფილება უარზეა, კლუბს სახალხო სახლზე გამრყვნელი გავლენა ექმნებაო. განყოფილება მიწას სხვაგან ყიდულობს.

**შეცდომების გასწორება.** გუშინდელ ფელეტონში შემდეგი შეცდომებია: **მეორე სვეტზე სწერია**: როდესაც ამ დასაბამის **უნდა ეწეროს**: როდესაც **ამ დასაბამთ. მეოთხეზე**: იგინი ამას მოგვითხრობენ, უნდა იყოს: იგინი არას მოგვითხრობენ. **მეხუთეზე**: მთელი ხალხიც კი ითვისებს და რაღაც იდუმალ შიშით იპყრობს მას. უნდა იყოს: **ითვისებს ამ უარისყოფას და რაღაც იდუმალი შიში იპყრობს მას.** მეათეზე: ნეტარებაა და ბედნიერებაა უნდა ეწეროს: **ნეტარება და ბედნიერება.**

## ტფ. ქალაქის საბჭო

(19 დეკემბერი).

კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი,

კრებამ განიხილა რამდენიმე წვრილმანი საქმე და დაადგინა.

1) მიეცეს ერთდროული დახმარება 200 მან. ვერის საქალაქო მეორე სასწავლებლის მასწავლებლად ნამყოფს ფალავანდიშვილის ქალსა;

2) მიეცეს ერთდროული დახმარება 500 მან. ქალაქის სააქციონო დარბაზის გამგედ ნამყოფს შადინოვს;

3) მიეცეს 240 მან. ყოველწლიური დახმარება სახელოსნო სასწავლებლის მსახურად ნამყოფს ფაილაძეს, რომელიც ამ ადგილზე 32 წელს იყო.

ამის შემდეგ განხილულ იქმნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის შუამდგომლობა. მზრუნველი ქალაქს 200,000 მანეთს სთხოვდა ტფილისში განზრახულ მეორე რეალურ სასწავლებლისათვის. საბჭომ დაადგინა, თხოვნაზე უარი ეთქვას უსახსრობისა გამო.

მცირე კამათი გამოიწვია არამიანცის სახელობის სავადმყოფოში მთავარ ექიმის თანამდებობის დაარსების საკითხმა. საბჭომ დაადგინა, ეს საკითხი გადაუწყვეტავი დასტოვოს იმ დრომდე, სანამ ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფო არ იქმნება დამთავრებული. საბჭოს აზრად აქვს, ამ ორ საავადმყოფოსთვის ერთი მთავარი ექიმი დანიშნოს.

როგორც ვწერდით, ქალაქის გამგეობამ ამას წინად უნივერსიტეტისთვის ბანკში 100,000 მან. შეიტანა. როგორც გამოირკვა, ქალაქის ამდენი ფული სრულად არა ჰქონია და სხვა წყაროებიდან 3615 მან. უსესხნია. საბჭომ დაადგინა, 3615 მან. ქალაქის მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვაში შეიტანოს.

დასასრულ საბჭომ დაადგინა, მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს 2,000 მან. ეს ფული დახარჯულა იმ კანტროლიორებზე, რომელნიც ტრამვაის მოძრაობას თვალყურს ადევნებდნენ და რომელთა მოხსენებათა გამო ტრამვაი დღემდე 197,000 მანეთით იქმნა დაჯარიმებული.

## ჟურნალისტის დღიური

53.

მომავალი იუბილეი.

ამ მოკლე ხანში ქართველი საზოგადოება გადაუხდის დღესასწაულს კიდევ ერთს ისეთს მოღვაწეთაგანს, რომელსაც ფრიად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, მაგრამ სძლია სიძნელე და რის მიცემაც შეეძლო მის ბუნებით უხვად დაჯილდოვებულ ნიჭს, კიდეც მისცა საზოგადოებას. მარიამ საფაროვ-აბაშიძის იუბილეისას მოგახსენებთ. როგორც რეპდენჯერმე კიდეც აღინიშნეს, ახალგაზდა თაობას ჯერ ეხსომება ან ნაკლებად ეხსომება ამ ნიჭიერ მსახიობქალის თამაშობა. სამაგიეროდ თვით ნიჭი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ აღმოუშლელი კვალი დაუტოვებია თანამედროვეებზე. უსაზღვრო სიყვარული და პატივის-ცემა გამოჰკრთის იმ დროინდელ რეცენზიის თვითოეულ სიტყვაში· ასეთსავე გრძნობითა და პატივისცემით იხსენიებენ მარიამ საფაროვ-აბაშიძისას ისინი, ვისაც იმასთან ერთად უმუშავნია და დღესაც არ დაუნებებია თავი მუშაობას ქართულ სცენაზე·

მარიამ საფაროვ-აბაშიძისა მარტო ნიჭისთვის არ არის პატივ-საცემი იგი პატივ-საცემია როგორც დაუძინებელი მოამაგე ქართულ სცენისა. იგი დღემდის არ განშორებია ქართულ სცენას, მუდამ ერთგულად ემსახურებოდა სცენას, და დღესაც მას ემსახურება.

დღევანდელ პირობებში სცენაზე გამოსასვლელად მხოლოდ ნიჭი და სურვილია საჭირო. მაშინ კი, როდესაც მარიამ საფაროვ-აბაშიძისა გამოდიოდა სცენაზე, სხვებთან ერთად, ნიჭსა და სურვილის გარდა საჭირო იყო ძლიერი ნების-ყოფა, საჭირო იყო ძალა, რომელიც რუტინას შეებრძოლებოდა. დიდი ენერგია იყო საჭირო დაძველებულ აზროვნების დასაძლევად. ამისთანა პირობებში ქალის გამოსვლას სცენაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა. ამითაც არის, სხვათა შორის, საყურადღებო მოღვაწეობა იმ მსახიობ-ქალებისა, რომლებიც თეატრის აღორძინების პირველ ხანებში გამოვიდნენ ქართულ სცენაზე და ამით გზა გაუკვლიეს შთამომავლობას.

მალე ქართული საზოგადოება დღესასწაულს გადაუხდის დამსახურებულ მსახიობს, ქართულ სცენის მოამაგეს და საზოგადო მოღვაწეს. იგი საზოგადო მოღვაწე იყო, რადგანაც საზოგადოების გათვითცნობიერებას თავისი პირადი მაგალითით, მუყაითი შრომითა და მადლიანის ნიჭით ხელს უწყობდა. ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოება ღირსეულად დაჰხვდება ამ იუბილეის და ამით მხოლოდ იმას დაამტკიცებს, რომ მას შეუძლიან დააფასოს საზოგადოების სასარგებლოდ მომუშავეთა შრომა და სამსახური. **შინაური.**

## სასამართლო

**თ-დ დადეშქელიანის საქმის განაჩენი.**

**მ ე ს ა მ ე დ ღ ე.**

**ტ. ერისთავი.** იგონებს შემთხვევას, როდესაც დადეშქელიანმა თავადი დადიანი სახლიდან გამოაგდო, რადგან დადიანი მისი ცოლის საწოლზე ჩამოჯდა. განსვენებულმა წინადადება მისცა დადიანს, როდესაც იგი შინ არ არის, მის სახლში ფეხი არ შესდგას. ჩემს ბინაზე დადიანმა განაცხადა, რომ იგი კნეინა დადეშქელიანის საწოლზე ძმურად ჩამოჯდა. განსვენებულის მეუღლე და დადიანი კატო ერისთავი ბინაზე ხვდებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის დაახლოვებულ განწყობილებაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა.

**თავმჯდომარე.** ჩვენ ნამდვილი საბუთები გვინდა.

— მიუხედავად დადეშქელიანთან მტრულის განწყობილებისა, დადიანს კავშირი ჰქონდა მის ცოლთან.

— რაში გამოიხატა ეს კავშირი!

— საბუთები არ არის... ხშირად კნეინა ღამეს სხვაგან ათევდა და ამბობდა, ნაცნობებთან ვიყავიო. დამარხვის დღეს დადეშქელიანის ასულს ეკატერინეს, ხანჯლის დაცემა უნდოდა დადიანისათვის, მაგრამ სხვებმა შეაჩერეს. მეორე ასულმა მითხრა, მოიყვანეთ დედაჩემი, რომ დასტკბეს მამიჩემის გაცივებულის გვამის ცქერითო.

**მოწ. ყიფიანი.** ცოლ-ქმართა ურთიერთშორის დამოკიდებულება მეტად კარგი იყო. ერთხელ განსვენებულმა დადიანზე მიიწია, მაგრამ მე შევაჩერე. ამ დროს ორივენი შეზარხოშებულნი იყვნენ და მალე შერიგდნენ. დადიანსა და დადეშქელიანს შორის მეგობრული განწყობილება სუფევდა. მე მოწმე ვიყავი. როდესაც კნეინა დადეშქელიანისამ დადიანს სთხოვა, ჩემთან ნუ დაიარები; რადგან ჩემს ქმარს უსახელო წერილი მიუღია - მოკვლას გიპირებენო. განსვენებულმა არ დაიჯერა ხმები ვითომც მოკვლას დადიანი უპირებდა, მაგრამ ცოლს მაინც წინადადება მისცა, დადიანს ნუ მიიღებდა. როდესაც დადეშქელიანსა და დადიანს შორის ურთიერთობა გამწვავდა, მევურჩიე განსვენებულს ნაცნობობა შეეწყვიტა მასთან, მაგრამ განსვენებული დაემდურებოდა დადიანს და ისევ შეურიგდებოდა ხოლმე. მოკვლის დღეს, იგი მისგან ფულის სესხებას აპირებდა. თვის ძმასთან კონსტანტინესთან) განსვენებული ძალიან ცუდ განწყობილებაში იყო.

სხდომა დროებით შეწყდა.

სხდომის განახლების დროს ბრალდებ. **კახიძემ** განაცხადა: ბრალდებულმა ცინცაძემ საპატიმროს ახლოს ქვით თავი გამიტეხა, -რადგან მე ისეთ ჩვენებას ვიძლევი, რომელიც მისი საზარალოაო.

**ბრალდებული გარდაფხაძე.** თავადი ვ. დადეშქელიანი ამბობდა: დადიანი სცდილობს ისეთი მოწმები იშოვოს, რომ ყველაფერში დამნაშავედ განსვენებულის მეუღლე გამოვიდესო. ვნახოთ, ვინ იქნება მართალი და ვინ მტყუანიო,—მითხრა კნეინამ. მე და განსვენებულის ასულმა ვთხოვეთ კ. ტ. დადეშქელიანს, კნეინას ცუდად ნუ ეპყრობითო. მოწმის აზრით, კნეინასა და დადიანს შორის კავშირი ყოფილა, რაიც კარგად სცოდნია მ. ყიფიანს.

**თავმჯდომარე.** მართალია, რასაც ამბობთ?

**ყიფიანი.** ყველას ვუცხადებდი, რომ ცოლქმრული ერთგულება არც ერთის მხრივ არ დარღვეულა მეთქი.

**მოწ. ლომიძე.** მე შევიტყე, რომ დადეშქელიანის მოკვლა ჰსურდათ და კიდეც გავაფრთხილე თავადი.

**თავმჯდომარე.** როგორ გააფრთხილეთ თავადი?

— ვიღაც ქორიძემ მითხრა, დადიანი 500 მანეთს მაძლევს დადეშქელიანის მოსაკლავად, მაგრამ მე უარი ვუთხარიო.

**დამც. ფალავა.** დაუსახელეთ თუ არა თავადს ქორიძე?

— დავუსახელე. პირველ გამოკითხვის დროს მე არ მოვიხსენიე ოზურგეთში თავადთან მისვლა და გაფრთხილება, რადგან მეშინოდა მეც მონაწილედ არ ჩამთვალონ, მეთქი.

**განსვენებულის დამცველი თავართქილაძე.** ჩემის თანადასწრებით გააფრთხილა თავადი ლომიძემ. თავადმა 25 მანეთი მისცა ლომიძეს, მაგრამ მან 20 მანეთი უკან დაუბრუნა და მხოლოდ 5 დაიტოვა.

**თავმჯდომარე.** ბრალდებულ ალშიბაიას და ბაკურიას ეკითხება; როგორ მოხვდნენ ისინი ნატანებში;

**ბრალდებული.** ოზურგეთში მივდიოდით და პოლიციაში შესვლა გვინდოდა დარაჯებადო.

**თავმჯდომარე.** (ბაკურიას): სად შეიძინეთ რევოლვერი, რომელიც დაჭერის დროს ჩამოგართვეს?

— ქუთაისში: უცნობ კაცს გამოვართვი 14 მანეთად, რომელიც უნაგირში მერგებოდა,

— თქვენ მეუნაგირე ხართ და ოზურგეთში მისდიოდით პოლიციის დარაჯის ადგილის საშოვნელადო.

— ფული არა მქონდა და ისევ პოლიციის დარაჯობა ვარჩიეო.

— როგორც ანსოდან მიიღეთ ორი საიდუმლო წერილი?

ერთი ზაქარაიასაგან და მეორე ბობოხიძისაგან მივიღე:

— წინად იცნობდით მათ?

— ვიცნობდი,

— რას იწერებოდნენ?

— არ წამიკითხავს.

წაიკითხეს პირველი წერილი: საჭირო დახმარება აღმოუჩინეთ მას. თქვენ იცით, თუ რა დახმარება. ისე იმოქმედეთ, რომ კარგად დაბოლოვდეს საქმე. საჭიროა ფრთხილი და მარჯვე მოქმედება. შენი რაჟდენ ზაქარაია. ლანჩხუთის სამაზრო ფერშლად დამნიშნეს.

**თავმჯდომარის** შეკითხვაზე: დახწერა თუ არა ეს წერილი, ზაქარაია თანხმობას აცხადებს.

წაიკითხეს მეორე წერილი: „ძმაო ივანე დოლიძე. გწერს ძმა ი. ბობოხიძე. დახმარება გაუწიე არსენტო ბაკურიას; სთქვით, რომ იგი თქვენი მახლობელია. მე ქუთაისში გადავიხდით სამაგიეროს. საქმეზე ამას გწერს რადგან შენც კარგად იცი. ი. ბობოხიძე.

**ბობოხიძე** აცხადებს, რომ წერილი მისი დაწერილია.

**თავმჯდომარე:** რათ დაგჭირდათ საიდუმლოთებით მოცული წერილის დაწერა?

— ჩვენში ასეთი ადათია.

სასამართლოში გამოუცხადებელ მოწმის **წულუკიძის** ჩვენებით მტკიცდება, რომ მას დადიანისათვის გაუცია რევოლვერი № 3786 და სამაგიეროდ პატარა ლულიანი რევოლვერი მიუღია.

**თავმჯდომარე.** უჩვენებს ბრალდებ. დადიანს რევოლვერს და ეკითხება: ეს არის თუ არა ის რევოლვერი, რომელიც მას წულუკიძემ გადასცა.

**დადიანი.** არ ვიცი, რადგან იგი ჩემს ხელში სულ რამოდენიმე საათს იყო.

**მოწ. იგითხანოვი.** ბრალდებულ ბაკურიას ვიცნობ, როგორც მაწანწალასა და ტერორისტს. არა ნაკლებად მანკიერია ბრალდება ალშიბაია.

**კესარია აფროიძე.** (კნეინა დადიშ. მოსამსახურე). 23 წელი ვემსახურებოდი ჩემს ქალბატონს, ცოლქმარს შორის მეტად წყნარი განწყობილება სუფევდა.

**თავმჯდომარე.** ვინ დაიარებოდა ხშირად კნეინასთან.

— მთელი ქუთაისი, ნაცნობები და ნათესავები. კნეინა ხშირად სტიროდა, მკვლელობას მაბრალებენო.

**დამცველი გეორგაძე** (აფროიძეს) იცით თუ არა, რომ განსვენებულის ასულმა ხანჯლით ხელი დაიკრა! ეს პანაშვიდის დროს მოხდა?

— ეკატერინე, მამის სიკვდილით დადარდიანებული თავის მოკვლას აპირებდა, მაგრამ ხანჯალი წაართვეს.

**ბრალმდებლის ამხ.** დადეშქელიანის ოჯახში თქვენ მიღებული იყავით როგორც ნათესავი, თუ როგორც გარეშე პირი?

— ჩემი დედის ძუძუს სწოვდა განსვენებული ალექსანდრე.

დაღესტნის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე **თავადი დადეშქელიანი** მოკლე სიტყვაში მკვლელობას ასწერს.

**მოწმე გორდეზიანი** განსვენებულმა ქუთაისში ჩამოიყვანა, რომ თვალყური მედევნებინა, თუ ვინ უფრო ხშირად დაიარებოდა კნეინასთან; განსაკუთრებით ყურადღება კი დადიანისათვის უნდა მიმექცია. თავადი მეუბნებოდა, ჩემ ცოლს დადიანი ჰყვარობსო.

## მცირე მოგონება

**ათონის ივერიის მონასტრის ისტორიიდან.**

ამას წინად „სახალხო გაზეთში, მეტად საგულისხმო წერილი იყო დაბეჭდილი ვინმე მედარდესი. ბ. მედარდე და ქართველთა ძმათა სავანის მღვდელმონაზონი იოანე ძმებითურთ აგვიწერენ იმ ფრიად უნუგეშო მდგომარეობას და დიდს განსაცდელს, რომეშიაც იმყოფება ამ ჟამად ოდესღაც დიდებული ივერიის ლავრის ნაშთი ათონის მთაზე. წერილის ავტორი და მამა იოანე ევედრებიან ქართველ საზოგადოებას ხმა ამოიღონ, დაეხმარონ, რათა დაიხსნან სავანე ბერძენ ბერთა ვერაგობისა და ყაჩაღობისაგან.

ფრიად სამწუხარო ამბავია, მაგრამ უფრო საწუხარო და სავალალო ის არის, რომ ხმა წერილისა დარჩება „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.“ ათონის ივერიის მონასტრის ღვაწლი დაუფასებელია საქართველოს კულტურისათვის. აქ ქუხდა წყარო განათლებისა, რომელიც სწვდებოდა მთელს ქართველს ერს; აქ იყო ანთებული ბრწყინვალე ლამპარი, რომლის შუქი ანათებდა ჩვენი ქვეყნის მივარდნილ მხარესაც კი. აქ მოღვაწეობდნენ დიდებულნი მამულიშვილნი ათანასე, იოანე, ევთიმე და გიორგი მთაწმინდელნი, რომელთაც „დაატკბეს ენა ქართული და განანათლეს და დაამშვენეს ნათესავი ჩვენი.“ აქ მიიღეს განათლება მრავალ შესანიშნავ ისტორიულ მოღვაწეთ. აქ აღიზარდა ჩვენი მწერლობის დიდება შოთა რუსთაველი...

მაგრამ დღევანდელი ქართველი საზოგადოება განა ამას ყურადღებას მიაქცევს, დააფასებს? პატივს სცემს სახელოვან წინაპრებს და ხმას ამოიღებს მათ სახელის დასაცავად? განა ნაცარქექიებს ამის ნიჭი შესწევთ, რომლებიც ყველაფრის და ყოველივეს გარეშე ცხოვრობენ, რომელთათვის არც წარსული არსებობს, არც აწმყო, არც მომავალი? რომლებიც ჯერ ისევ ცოცხლები უკვე მკვდართა შორის განისვენებენ. ჭეშმარიტად, სიკვდილის ღირსნიც არიან, ვინც უპატივცემლოდ ეპყრობიან დიდებულ მამათა საფლავებს, და არა ერთის სიკვდილის, არამედ ორის და სამის!

ბ. მოდარდეს წერილი პირველი არაა. მრავალი წელიწადია ვკითხულობთ ქართულ გაზეთებში მაგვარ წერილს თუ მოწოდებას. ხოლო ჩვენს საზოგადოებაში ხმა არავის ამოუღია ბერძენთა თავგასულობის წინაარმდეგ. წაგვართვეს ლავრა, რომლის მსგავსი მეორე არ მოიპოვებოდა ათონის მთაზე, და იმის ნებასაც კი არ გვაძლევენ, რომ უბრალო ქოხში მაინც შევიხიზნეთ იმ მონასტრის გვერდით, რომელიც ჩვენის ოფლითაა აგებული, იმ ადგილზე, რომელიც ჩვენის სისხლითაა მორწყული. განა შესაძლებელია მეტი შეურაცყოფა ადამიანისა, მეტი დაცირება, ყოველისავე უფლების გადალახვა? ჩვენ მაინც გაჩუმებულნი ვართ, გაჩუმებულნი, გაჩუმებულნი!..

აქ მინდა მოვაგონო მკითხველებს, რომ ბერძნების ბრძოლა ქართველების წინააღმდეგ ათონის მთაზე არ ახალია, ძველია. მაგრამ ქართველები ყოველთვის მედგარ პასუხს აძლევდნენ მტრებს. თვით წმ. ევთიმის დროს მიიღეს ქართველებმა ბერძნები თავის მონასტრებში. მიიღეს სტუმრად - ძმებად. ხოლო ეს სტუმრები მალე ის გაუდიერდნენ და გაკადნიერდნენ, რომ მასპინძლობა მოინდომეს, ლავრის დაპატრონება და ქართველების იქიდან გამოძევება.

გიორგი მთაწმინდელი, წმ. ევთიმის ცხოვრების დამწერი, ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: „ბერძენთა ხელჰყვეს ყოვლითა ღონისძიებითა, რათამცა ქართველნი ამას მონასტრისაგან აღმოფხვრნეს და ამის პირისათვის დიდი მისწრაფება აჩვენეს და მთა ყოველი შეიწყნეს და საბერძნეთისა დიდებული და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მიიდრიკეს და მრავალი შრომა, ჭირი და რუდუნება ჩვენზედა მოაწიეს“. ქართველებმა ალაგმეს ბერძნები, მაგრამ ესენი მაინც არა სცხრებოდნენ და როგორცკი დროს იგდებდნენ ხელში, ყოველსა საშუალებას ხმარობდენ ქართველების გასადევნელად. „ჭირთა შინა ვიყვენით, განაგრძობს წმ. გიორგი: არა მცირედნი განსაცდელნი მოიწოდეს დღითი-დღე ძმათა ზედა და უფროსად ნეტარსა არსენის, რამეთუ იგვემაცა და მრავალი შრომა დაითმინა და საპყრობილედ შეწყვდევა კოცხვა და ბასრობა და ეგრეთვე ყოველთა ძმათა“, შემდეგ კიდევ ვკითხულობთ: „კვალად აღეტყინეს ჩვენზედ ბერძენნი და მთა ყოველი აღძრეს და დიდებულნი ყოველნი განდრიკეს, ხოლო მონასტერი ვერ წარგვიღეს“. ამ ბრძოლის დროს, რასაკვირველია, ათონელ ქართველებს მხარში უდგა მთელი ერი საქართველოსი,

აგვიწერს რა ყოველსავე ამას, გიორგი მთაწმინდელი შემდეგი ღრმა მამულიშვილურ სიტყვებით მიმართავს მომავალთა ქართველთა ნათესავთა:

„უკეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესავისა ჩვენისაგან კაცი და რაცა ღონითა ანუ მანქანებითა ანუ საფასის სიხარბითა, ანუ სიყვარულითა ბერძენთათა ანუ კაცისა ვისმე შეპოვნებითა, ანუ სხვითა რაიმე ზაკვითა ეორგულოს ამას წმიდასა ადგილსა, გინა გასცეს მიწა მთასა, გინა გარე, ანუ ქართველთა შინა გამცემელ ექმნეს და ასწყვდნეს და ესე ადგილი ქართველთა თავისა რასამე გამოუგდოს და იგინი განასხნეს, და ჩვენი სახსენებელი ამოსწყვიტოს, ყოველთა წმიდათა და ჯვარისა მადლითა კრულმცა არს და წყეული და შეჩვენებულ და განკვეთილ წესისაგან ქრისტიანეთასა და მათთანამცა შერაცხილ არს, რომელნი შინა გამცემელ ექმნეს უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს. ხოლო რომელთა ქართველთა განმრავლება იღვაწონ და ესე წმიდა ადგილი ნათესავსა ჩვენსა დაუტოვონ, საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევა მათი და რომელნიცა ძმანი აქას დიდებულისა ლავრისა სამართლობასა და დამტკიცებასა თანა მოღვაწე ექმნეს, საუკუნომცა არს სახსენებელი და კურთხევა მათი“...

ასე ამბობდა შესანიშნავი ქართველი მამულიშვილი ცხრა საუკუნის წინად. დღეს კი არავინაა ესეთი მეტყველი, უფრო კიდევ არავინაა მისი გამგონი! **ვინმე გარდახვეწილი.**

## ფუტკრის ნაწარმოების ბაზარი

გუშინ, 20 დეკემბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზის ქვემო სართულში (ბარიათინსკის ქუჩაზე, ალექსანდროვის ბაღში) კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოებამ გახსნა მეფუტკრეთა ნაწარმოების ჩვეულებრივი ბაზარი. მეოთხე წელიწადია რაც ეს საზოგადოება დაარსდა და მხნედ შეუდგა თავის დასახულ მიზნის განხორციელებას. ოთხ ენაზე გამოსცა ფუტკრის ...სენის სიმყაყის გამოცნობა-წამლობა, წელს გამოსცა ქართულ ენაზე მოზრდილი და მოწონებული მეფუტკრეთა სახელმძღვანელო წიგნი „ფუტკარი და მეფუტკრეობა“. წარსულ ორ წელს სწორედ ამ დროს გამართა მეფუტკრეობის ნაწარმოების გამოფენა—ბაზარი და სხვა. წარსულ წლებში გამართულ გამოფენა-ბაზარს ის მიზანი ჰქონდა, რომ ერთის მხრივ გამოუცდელ მეფუტკრეებს შეეძინათ რაიმე ახალი და მასთან რათა მეფუტკრეობის ნაწარმოები პირდაპირ მწარმოებელს მხმარებელისათვის ყოველ სიყალბის გარეშე მიეწოდებინა. ამით ერთი მხრით იგებდა მწარმოებელი და მეორეს მხრით მომხმარებელიც, რადგან მათ შორის ჩარჩის ხელი აღარ ერეოდა.

წრევანდელ გამართულ ბაზარსაც ეს მიზანი აქვს. ამისათვის მეფუტკრეთა საზოგადოებამ დაადგინა მეფუტკრეობის ნაწარმოებს ერთ ადგილას მოუყაროს თავი და დაწესებულ ნიხრით მიაწოდოს მსურველს ნამდვილი და ბუნებრივი თაფლი. ამით საზოგადოებას ჰსურს აღკვმა როგორც ჩარჩების თავ გასულობისა, ისე ზოგიერთა „ვითომცა მეფუტკრეთა“ გაუმაძღრობისა. მიზნის განსახორციელებლად საზოგადოებამ დაადგინა თაფლი გაიყიდოს ფუთი არა უმეტეს ცხრა მანეთისა **(გირვანქა 22½ კაპ.)** საზოგადოება თავის საწყობში საკომისიოდ ღებულობს იმ თაფლს, რომელსაც წვრილი თუ მსხვილი მრეწველი მეფუტკრე გასაყიდად ჩამოიტანს, ასეთ ნაწარმოებს საზოგადოება ჯერ შეამოწმებს და როცა თაფლის ბუნებრივობაში დარწმუნდება მხმარებელს მხოლოდ მერმედ მიაწოდებს.

ამ რიგად ყველა ის, ვინც თაფლს საზოგადოების მიერ გამართულ ბაზრობაზე შეიძენს არხეინად იქნება, რადგან დარწმუნებულია, რომ მას ჩარჩი არ ატყუებს არც წონაში, არც საქონლის ღირსებაში.

**ბაზრობა გაგრძნლდება 20 - 31 დეკემბრამდე.** ცხადია სავაჭრო დარბაზში შესვლა ყველასთვის **უფასოა.** მივესალმებით რა მეფუტკრეთა საზოგადოებას და ვუსურვებთ წარმატებას, ვერ შეიძლება მხმარებლებლებსაც არ ვურჩიოთ ისარგებლონ მეფუტკრეთა საზოგადოების ღვაწლით, თავისი ყურადღებით ღირსეულად დააფასონ იგი და მით საზოგადოებას შეძლება მისცენ შემდეგაც განაგრძონ ხალხის სასარგებლოდ საქმის გაძღოლა.

**ხუცი უკმაკურიძე.**

## ცოტა რამ თელავის სასულიერო სასწავლებელზე

წინა წერილში უკვე აღვნიშნე, რომ თელავის თითქმის ყველა სასწავლებლებში არსებობს ღარიბეს მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება, ან ისე ეხმარებიან, გარდა სასულიერო სასწავლებლისა,

თუ-კი სადმე საჭიროა შემწეობის აღმოჩენა, ეს თელ. სასულიერო სასწავლებელში. მოსწავლეთა თითქმის მთელი რიცხვი კახეთ-ქიზიყის სოფლებიდან არიან, რომელთა მშობელთ თვეში 5—6 მანეთიანი სახლის პატრონი უშოვიათ და იქ მიუბარებიათ შესაზნახად სიაფის გულისთვის თავიანთი შვილები, ზოგჯერ ამ ფულსაც ბევრი თავის დროზე არ იხდის და სახლის პატრონი კარებისაკენ უჩვენებს ხოლმე. ასეთ მოწაფეთ ქუჩაში დარჩენა არ ასცდებოდათ, რომ სკოლის ინსპექცია ასეთ მამობრივ მზრუნველობას არ უწევდეს მოსწავლეებზე და მათ სადგომებზე თვალყურის ჭერით. მოსწავლეთა უმეტესობას სწავლის ფული არ ერთმევათ, რადგანაც ისინი სასულიერო წოდებას ეკუთვნიან და ამას გარდა ღარიბებს ნივთიერადაც ეხმარებიან იმ ფულიდან, რომელსაც ყოველ წელიწადს სამღვდელოების კრება გადასდებს ხოლმე ამ მიზნისათვის.

ერის კაცთა შვილები-კი უმწეოდ არიან დატოვებულნი; რასაკვირველია, ამათ სწავლის ფული ერთმევათ და ესენი უფლებას მოკლებულნი არიან ზემოდასახელებულ ფულიდან რაიმე შემწეობა მიიღონ. სასულიერო წოდებას ცოტად თუ ბევრად პატრონობა არ აკლია, სამაგიეროდ ბევრი ერის კაცთაგანი იძულებულია სწავლა მიატოვოს ფულის შეუტანლობის გამო.

გავიხსენოთ თუნდ ვაჟა-ფშაველას „ხევსურის თავი“ (სახ. გაზ. 22 ოქტ. 1910 წ. № 138) ერთი სწავლის წყურვილით გატაცებულ ხევსური წიქა ჭინჭარაული პატივცემულმა მგოსანმა ამ სასწავლებელში მიაღებინა, რასაკვირველია, სასწ. გამგეობამ დახმარე-

ბა ვერ აღმოუჩინა, რადგანაც იგი მედავითნის ან მღვდლის შვილის მაგიერ, თოვლ-ყინულიან მთის ხევსური იყო. ამის შემდეგ ამ ჭინჭარაულმა წ. კ. საზოგადოების მთავარ გამგეობას მიჰმართა, მაგრამ ამან თელავის განყოფილებაზე მიუთითა, როგორც კაჭკაჭმა ყვავს, შენ დიდი თავი გაქვს და იტირეო, ამანაც უსახსრობის გამო უარი უთხრა და დიდი ლოდინის შემდეგ ქარ. ალმ. საზოგადოებამ გაუწია დახმარება. ეს ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე სალიკლდის შვილი უკვე გარდაიცვალა, ვინ იცის რამდენ დამცირებას გრძნობდა და მისმა ლაღმა გულმა ვერ აიტანა ეს თხოვნა-ლოდინი.

ამნაირად ერის კაცთა შვილებს არავითარი დახმარება არ ეძლევათ იმ უბრალო მიზეზით, რომ ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად ფულს იხდის ეკლესიის კრებული, მის შემოსავლიდან და მღვდლების მიცემული ფული ისევ მათ შვილებს უნდა მოხმარდეთო. აი, თურმე, რა ყოფილა მიზეზი. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, ეკლესიის შემოსავალი ვისგანაა? რასაკვირველია, ერის კაცთაგან და სიმართლე მოითხოვდა დახმარებაც წოდებათა განურჩევლად ყოფილიყო.

ამ გარემოებისთვის ყურადღება უნდა მიექცია ამ სასწავლებლის სამოსწავლო ოლქის სამღვდელოების წლევანდელ კრებას, და თუ მან მხარი აუქცია ამავე სასწ. გამგეობის წევრ მღვდლებს მაინც უნდა აღეძრათ ეს საკითხი, მაგრამ...

ჩვენნი სულიერი მამანი რომ ასე ექცევიან ამ აბუჩად აგდებულ საერო წოდებას, მაშინ თვით სასწავლებლის მასწავლებელთა კორპორაციამ უნდა იზრუნოს მისთვის, ცალკე საზოგადოების დაარსებით, მაგ., როგორც ოზურგეთის სას. სასწავლებელთანაა, ან კიდევ წელიწადში უნდა ერთხელ რაიმე გასართობი საღამო გამართონ, არ შეიძლება მიზანს ვერ მიაღწიოს, მით უმეტეს, ეს რომ თავმოსაბეზრებელ საცეკვაო საღამოს და ჩვენებურ წარმოდგენის მაგიერ, გამოიხატოს ახალი რაიმე, მაგ. სასულიერო კონცერტით, რომელიც ყოველ დიდ მარხვობით რომ იმართებოდეს ორნაირ სარგებლობას მოიტანს; პირველი, საზოგადოებას სულიერი საზრდო მიეცემა და მეორე უმთავრესად ულარიბეს მოწაფეთ მიეცემათ შემწეობა. **დავიწყებული.**

# ცოტა რამ გალის უფასო საავადმყოფოზე

ამა წლის პირველ დეკემბერს შემთხვევით მომიხდა გალის უფასო საავადმყოფოს დათვალიერება, რომელიც სამურზაყანოში იმყოფება. გულახდილად უნდა განვაცხადო, რომ იმ წეს-რიგმა, რომელიც საავადმყოფოში ექიმ შავგულიძეს გაუმეფებია, ძალიან გამაკვირვა.

მთავრობის უფასო საავადმყოფო ბ-ნ შავგულიძეს სავაჭრო დაწესებულებად გადაუქცევია; ბატონ ექიმ შავგულიძის მოქმედება ორი წლის წინადაც აღნიშნული იყო გაზეთ „ზაკავკაზიე“-ს ფურცლებზე, მაგრამ, სჩანს, ბ-ნ შავგულიძეზე ამ გვარი ზომები სრულიად არ მოქმედობს და სინიდის დამშვიდებული განაგრძობს თავის სასიქადულო „მოღვაწეობას“, რომელიც გამოიხატება მხოლოდ სახელმწიფო წამლების და შუშების გაყიდვაში.

პირველ დეკემბერს უფასო საავადმყოფოში თითო შუშა იყიდებოდა ორ-ორ შაურად და ყოველგვარ წამლებს ამზადებდნენ უბრალო მოსამსახურეები, რომელთაც არც ცოდნა შესწევთ, არც უფლება აქვთ. მაგრამ ექიმ შავგულიძის ხელში ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა. ურიგო არ იქნება, იმას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდნენ ვისგანაც ჯერ არს,

ფერშალი **გიორგი იოსების ძე გულივერდაშვილი.**

Г. Ѕ. უმორჩილესად ვთხოვ ყველა გაზეთებს გადაბეჭდოს ეს,

# ფრენა ფოთში.

6 დეკემბერს აქ. ბ. ა. კუზმინსკის უნდა გაემართა ფრენა, მაგრამ, როგორც ამ დღეს განცხადებამ გვაუწყა, ცუდ ამინდის გამო ფრენა გადაიდო 11 დეკემბრისათვის. თუმცა ამ დღესაც დილიდან ცოტა აღმოსავლეთის ქარი ჰქროდა, მაგრამ შუა დღიდან ქარი სრულებით ჩადგა და კარგი დარი დაიჭირა. ფრენა იყო დანიშნული ნაშუადღევის ორ საათზე. თორმეტი საათიდან ხალხმა იწყო დენა დანიშნულ ადგილზე. დანიშნულმა დრომაც მოაწია. ყველა გულის ძგერით მოელოდა აფრენას, მაგრამ მფრინავი არსად სჩანდა. აუარებელი ხალხი ტრიალებდა მანქანის გარშემო, ყველა სცდილობდა მის დათვალიერებას. მანქანა პატარის, საჯდომი ადგილი ერთი აქვს პილოტისათვის, ამასთან მოხდენილი და ლამაზიც არის.

საათის სამზე გამოჩნდა ბ. კუზმინსკი. ის ავიდა მანქანაზე და მოკლე წინასიტყვაობით მიმართა ხალხს. ეს მანქანა, რომლითაც მე ეხლა ავფრინდები, არის ფრანგ ინჟინერ ბლერიოს სისტემის, ეს მაქანა გაუმჯობესებული მეთერთმეტე და უკანასკნელი მოდელი არის, რომელსაც სიმძიმე თექსმეტ ფუთ ნახევარი აქვსო. ჩვეულებრივი (ნაკლები არ შეუძლიან) ფრენა მანქანის საათში არის 102 ვერსი და შეიძლება კი სისწრაფვის 140 ვერსამდე აყვანაო. და ბოლოს დასძინა, მართალია, ფრენას ხშირად მარცხი მოჰყვება, მაგრამ ეს უფრო მფრინავის გაუფრთხილებლობის და წინდაუხედაობის ბრალი არისო.

დიდ მოლოდინის შემდეგ საათის ოთხზე, როგორც იქმნა, მანქანა ამოძრავდა; ის ჯერ არც კი აფრენილიყო, რომ ყველა მაღლა ჰაერში გასცქეროდა, რომ კარგად მოემარჯვებიათ ადგილი, მაგრამ დახეთ ჩვენ განცვიფრებას, მანქანა უცებ გასრიალდა 30 40 საჟენზე და გაჩერდა. მისი გორგორები მიწიდან ერთ არშინზე არც კი იყო აცილებული, კაცს ასე ეგონებოდა თითქოს მიწაზე მიგორავსო. იმედს არ ვკარგავდით და გვეგონა თუ ეს საცდელი იყო. მანქანა უკანვე დააბრუნეს. გავიდა ხანი და მანქანა ისევ ამოძრავდა, კვლავ აღტაცებით გაჰყურებდა საზოგადოება, მაგრამ მეორედაც იგივე განმეორდა რაც პირველად. საფრენი ისევ დააბრუნეს და ფრენაც გათავდა.

ასე მოტყუებული დარჩა დიდი საზოგადოება. სჩანს, ბ. კუზმინსკის ფრენის იდეა სრულებით არ აინტერესებს, თორემ რამ დაუშალა, როცა დარი კარგი იყო და მანქანაც ჰქონდა, როგორც თვითონ აღიარა. ხშირად სხვა ქალაქებშიაც ხდება ფრენა, მაგრამ ასე არსად მოუტყუებლებით ხალხი, ვგონებთ, ბ. კუზმინსკი ამ გზით ვერაფერ სახელს მოიხვეჭს. თურმე ნუ იტყვით და თვითონვე გამწყრალა, შემოსავალი მცირე იყოვო;

საზოგადოება მეტად გულნაკლული დარჩა, მაგრამ... **ნემეზიდა.**

# სალიტერატურო დილა.

„სახალხო სახლში“ ბ-ნ ი. გრიშაშვილის თაოსნობით კვირას, 18 დეკემბერს, სალიტერატურო-სამუსიკო დილა გაიმართა. უნდა წაეკითხნათ ორი ლექცია: გვაზავას „ცოცხალ გვამის“ თაობაზე და ს. კაკაბაძეს „როგორ შესდგა ქართველი ერი“. ს. კაკაბაძე რაღაც მიზეზისა გამო არ მოსულა და ლექცია წაიკითხა მხოლოდ გვაზავამ.

ბ-ნმა გვაზავამ სხარტულად და მოკლედ გადმოგვცა თავის აზრი ტოლსტოის უკანასკნელ ნაწარმოებზე. აქ ისეთი საკითხია წამოყენებული, რაც ყოველთვის უნდა გვაინტერესებდეს, გულში გვხვდებოდეს და ამიტომ ღირს კიდევ „ცოცხალი გვამი“ ლაპარაკად, თუმცა ზოგიერთს მოსწყინდა, რადგან ბევრი რამ ითქვა და დაიწერა მის შესახებო. ლ. ტოლსტოიმ აქ წამოაყენა საკითხი: შეიძლება თუ არა სანატრელი თავისუფლება ოჯახზედაც გავრცელდეს, შეიძლება თუ არა ცოლ-ქმარი ერთმანეთს დაშორდეს, გაიყაროს, თუნდა კანონი ამის წინააღმდეგი იყოს, როდესაც ერთად ცხოვრება შეუძლებელიაო. ადამიანი იზრდება, წინ მიდის. განა შეიძლება მოზრდილ ადამიანს ძალა დავატანოთ და ის ტანისამოსი ჩავაცვათ, რაც ექვსის წლისას ეცვა? ჰო, და კანონიც ხან და ხან ისე ძველდება, ცხოვრებას ჩამორჩენილია და ადამიანთათვის შეუფერებელია, ვით პატარაობის ტანისამოსი; მას შეცვლა, დრო გამოშვებით განახლება, შესწორება, ცხოვრებასთან შეთანხმება სჭირდებაო-ლექტორი ტაშის ცემით დააჯილდოვეს,

სადეკლამაციო განყოფილებაში ამდროინდულად წაიკითხა ლექსი: „დახე ჩვენი ქალაქი რა რიგად გამოცვლილა“ **კოტე ყიფიანმა** და საზოგადოება დიდად ასიამოვნა. თ-დმა **ნიკ. ერისთავმა** წაიკითხა მშვენიერი ლექსი კ. მაყაშვილისა (თუ არ ვცდებით: „ტრანსვაალელის გოდება“) და შემდეგ „განდეგილის“ ერთი ადგილი. ნ. ერისთავი საზოგადოდ კარგი წამკითხავია: არც გადამეტებული ყვირილი იცის, არც გადამლაშებული ჟესტიკულაცია... როგორც ყოველთვის, კარგი იყო **გ. ქუჩიშვილი.** ბ-ნმა **კოსტან-ანდრონიმ** წაიკითხა ესკიზი. **წუწუნავამ** კინინოშვილის მოთხრობა „განკარგულება“. ლექსები წაიკითხეს: **კ. მაყაშვილმა, ქ-ნმა ც. ამირაჯიბისამ ახოსპირელმა** და **გრიშაშვილმა.** ზოგიერთმა აფიშაში გამოცხადებულმა პირმა მონაწილეობა ვერ მიიღო **(ს. მგალობლიშვილმა, ი. ბარათაშვილმა, ადამიძემ, სვ. ყიფიანმა, ცქვიტმა)** და პროგრამის გასაფართოვებლად კინტოური ლექსები წაიკითხა ი. გრიშაშვილმა და ხალხი ბევრი აცინა. ქუთ. დას. მსახიობმა ბ-ნმა **ნემომ** ხომ სიცილით დახოცა საზოგადოება თავის იმერულ-ებრაულ სცენებით. „ვაი-უის“ ხმა იმღერეს **ბ-ნთ გოცირიძემ და საფაროვმა.** მშვენიერი დამკვრელია თარისა ბ-ნი **სალირაშვილი.** ერთის სიტყვით დილა საინტერესო იქნებოდა ყოველისფრით, ეს სენი რომ არ იყოს ჩვენში; გამოაცხადებინებენ აფიშებში თავსა და მერე არ მობრძანდებიან ხოლმე (თუ თვით გამმართველთა ბრალია?). თეატრი ხალხით სავსე იყო. **რაჭველი.**

„ძმ. სეილანოვების“
ახლად გახსნილ საქარხნო მაღაზიაში
**გოლოვინის პროსპექტი, სახლი ზუბალაშვილისა, № 8.**
განსაკუთრებით ვურჩევთ მოიკითხოთ
თუთუნი „ებვიპტისა“
**შეუდარებელი შერჩეული ხარისხისა**
გირვანქა 2 მ. 40 კ.-დან 10 მანეთამდე.
თუთუნი, სიგარები და პაპიროსები, როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფირმებისა 10% დაკლებით.
**ათასგვარი ხელსაწყო თუთუნის წევისა.**
(100.1622.6)

# ძველი სემინარიის შენობის შესახებ

ძველი სემინირიის შენობა, ი. ზუბალაშვილისაგან აშენებული და საკუთრება, შესყიდულია საქართველოს (იგულისხმეთ აქ სულ მუდამ ტფილისის გუბერნიის ქართული ეკლესიები და მათი სამღვდელოება) ეკლესიების ფულით. იმ ფულში ერთი გროშიც არ ურევია არც ბაქოსი, არც ქუთაისისა, არც განჯისა, არც ერევნისა, არც ყარსის ოლქისა. ეს ისტორიულად გამორკვეულია და დასაბუთებულია. ვისაც ჰსურს დარწმუნდეს ამაში შეუძლიან გადაათვალიეროს ბ. ნატროშვილის „სვეტიცხოვლის ეკლესია“ და იქ ყოველიფერს საბუთს იპოვნის.

როცა ეს სემინარიის სახლი იყიდეს საქართველოს ეკლესიის ფულითა 1840 წელ., ბაქო ერევან-განჯის გუბერნიებში ოთხ-ოთხი ეკლესიაც არა ყოფილა, და არც რა წვლილი შეუტანიათ. ყარსის ოლქი საქართველოს ეპარქიის შემოუერთდა 1878 წელსა.

ამიტომ ეხლაც თავი უნდა გამოიდოს ტფილისის გუბერნიის ქართულ ეკლესიების ქართველმა სამღვდელოებამ, როგორადაც პირდაპირმა მემკვიდრეებმა. თვითოეულ საბლაღოჩინოში ქართლ-კახეთის ეკლესიებისამ უნდა დაადგინონ და სთხოვონ, რომ მათმა წარმომადგენლებმა განუცხადონ კრებას საქმის ნამდვილი ვითარება. 1850--1908 წლ. ისარგებლეს ამ შენობით, დრო არის, ამას შემდეგ მაინც იმის შემოსავალი მოხმარდეს ტფილისის გუბერნიის ქართველ ეკლესიებსა და სამღვდელოების გაჭირებულ მდგომარეობასა. ეკლესიები დაცარიელდა, ტაძრები ინგრევა, პატრონი არავინ უჩანს! ამისთანა პირობებში სემინარიის ძველი შენობა შემოსავლის კარგს წყაროდ გადაიქცეოდა და ხელ-მოკლე სამღვდელოებასა და გაღარიბებულ ქართულ ეკლესიას დიდს სამსახურს გაუწევდა. ეს საკითხი საოლქო კრებაზედაც აღიძრა 1894 წელს, და ხმამ სინოდამდე მიაღწია. ნუთუ საეპარქიო კრებას იგივე ვერ შეუძლიან? ასე უპატრონოდ დატოვება ქონებისა შეუძლებელია. იგი ჩვენთვისაც უსარგებლო ჰხდება და სხვისთვისაც მაშინ, როდესაც ამ ქონებას შეეძლო დიდი შემწეობა აღმოეჩინა ჩვენთვის.

იმედია ქართლ-კახეთის სამღვდელოება იღონებს და ამ საქმეს უპატრონოდ არ დასტოვებს. **ბექა.**

# ბრძოლა სპარსეთში

**ლონდონი.** „რეიტერი“ იუწყება, თავრიზში მყოფი ინგლისის ელჩი გვატყობინებს, რუსთა სისასტიკის შესახებ გავრცელებული ხმა ჭორიაო. სპარსელი ქალები და ბავშვები, თურმე რუსის ბანაკში იხიზნებოდნენ და მათ კარგადაც უვლიდნენ.

**სტამბოლი.** „ოტომანის სააგენტო“ უარჰყოფს რუსულ გაზეთების ცნობას, ვითომც ოსმალეთს სპარსეთში რუსთა წინააღმდეგ გამართულ მოძრაობისთვის ხელი შეეწყოს. საგენტო იუწყება, ოსმალეთი ყოველთვის ურჩევდა სპარსეთს ლოიალობას და მშვიდობიანობასაო.

**ჯულფა.** თავრიზის ტელეგრაფი აღადგინეს. ჯულფიდან 14 დეკემბერს წასული რუსების რაზმი თავრიზს ჩავიდა, დიდ დახმარებას უწევს რაზმთა მისვლა-მოსვლის საქმეს ავტომობილები.

რუსეთის იმპერატორის სახელწოდების დღეს მაჰმადიანთა ზოგიერთი სასულიერო პირი გამოცხადდა და სთქვა, აშურას დღესასწაულზე რუსის იმპერატორისთვის ვილოცავთო.

**თავრიზი.** მთავარმა საელჩომ ქალაქში გააკვრევინა მოწოდება, რითაც მცხოვრებთ ურჩევს, დუქნები გაალეთო. ბაზრებში წესიერებას რუსის ჯარი იცავს. იარაღსაც ნელნელა აბარებენ. 15 და 16 დეკემბერს იპოვეს ფიდაებისაგან დასახიჩრებული რუსის სამი ჯარისკაცის გვამი. სახლებში დამწვარ რუსის ჯარისკაცებს პოულობენ. გენერალ-გუბერნატორის სახლის ეზოში ცოცხლად დამარხულ ჯარის კაცის გვამი იპოვნეს, თავრიზში სხვა და სხვა ადგილას იპოვნეს სულ 9 ჯარისკაცის გვამი, სამი ჭიდან ამოიღეს, გენერალ-გუბერნატორის სასახლესთან.

**ბუშირი.** ინგლისის კრეისერ „ფოქსით“ ინდოეთის ჯარის ერთი პოლკი მოვიდა. ინგლისელებს, ყაზვინთან მათ ელჩზე თავდასხმის დროს, ხუთი მოუკლეს, 10 დაუჭრეს. თავდამსხმელთ ახალი სისტემის თოფები ჰქონდათ, თურმე.

### გაზეთებიდან.

**ჯარის მოგროვება.**

რუსეთის ჯარი თავრიზშია თავმოყრილი და მისი რიცხვი 4 ათასამდე ადის. საზოგადოდ, სულ რამდენი ზარალი მოუვიდათ რუსებს, არ იციან. „ნოვოე ვრემიას“ შეუტყვია, რომ რეშტში ხელახლა დასცემიან რუსის ჯარისკაცებს.

ყაზვინიდან თეირნისკენ რუსების რაზმი წასულა, რადგან იქ არეულობის მოხდენისა ეფიქრებათ.

**ვ. ნ. კოკოვცევი და ს. დ. საზონოვი.**

ხმა გავარდა, მინისტრ-პრემიერი ვ. ნ. კოკოვცოვი და ს. დ. საზონოვი სპარსეთის საქმეების თაობაზე ერთმანეთს არ ეთანხმებიანო. საზონოვი ამბობს, თურმე: ჯარი რაც შეიძლება ჩქარა უნდა დავაბრუნოთ უკან, თუ გვსურს ინგლის-რუსეთის შეთანხმებას არა ვავნოთ რაო. ჯარი კი კოკოვცევის ბრძანებისამებრ გაიგზავნა და იგი მომხრეა საქმეში აქტიურად ჩარევისა.

**ინგლისის პრესა.**

ინგლისის პრესა ძალიან უკმაყოფილოა და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს რუსების თავრიზში მოქმედებას. თანაც დასძენს, ყველაფერი ს. დ. საზონოვის სურვილის წინააღმდეგ მოხდაო.

„ტაიმსი“ ამბობს: თავრიზსა და რეშტში რუსების მოქმედება სერ ედუარდ გრეის გეგმის განხორციელებას ხელს შეუშლისო. გრეის კი, თურმე ისეთი გეგმა აქვს შედგენილი, რაც რუსეთის მთავრობასაც მოსწონებია და მის განხორციელებას დასთანხმებია.

**თავრიზის ბრძოლა.**

თეირანიდან მოსკოვს შემდეგი ამბავი მოვიდა: თავრიზის მცხოვრებნი ფიდაებზე ძალიან გულმოსულნი არიან, რადგან მათი გულისთვის რუსის ჯარი მთელ თავრიზს სასტიკად დასჯისო. ბრძოლა,, თურმე ასე მომხდარა: სრულიად მოულოდნელად ჩრდილოეთის მხრივ რამდენიმე თოფი გავარდა. ჯარმა არ იცოდა რა ექმნა, საით წასულიყო. თავრიზის ადმინისტრაციასაც თავგზა აებნა და ფიდაებმა ამის გამო ფერაშების იარაღის აყრა მოახერხეს. ეხლა უარ-ჰყოფენ, ვითომც სროლაში ოსმალეთის ქვეშევრდომთაც მიეღოთ მონაწილეობა. რუსის ჯარის თავრიზს ჩასვლამდე იქ ორი ათასი ფიდაი იყო. ეხლა თითქმის ყველა გაიქცა და თავი ყარაჯაგს შეაფარა. თეირანში ამბობენ, ეხლა შეიძლება თავრიზი ნაშაჰარის მომხრეებმა აიღონო. იმასაც კი ამბობენ, შუჯა-უდ-დოულე შეშფოთებულ და შეწუხებულ ხალხს ურჩევს ძველი შაჰი მაჰომედ-ალი მეფედ აღიარონ. სამხრეთის სპარსელებს ინგლისელებთან მოსდით შეტაკება. ამბობენ, მთავრობა საარჩევნო უფლების წესს შესცვლისო.

**გერმანია და სპარსეთი**

პანგერმანისტთა პრესა სპარსეთში რუსეთის მოქმედებას იწონებს და რეპრესიებს ურჩევს.

„ტაგეს რუნდშაუში“ დაბეჭდილია გრაფ პფეილის წერილი, გრაფი ყველაფერში დამნაშავედ (?) რუსეთის ელჩს პოკრევსკი-კოზელსა სთვლის; ინგლისელთა საბურთაოდ გადაიქცაო. ბრალსა სდებს აგრეთვე კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, რომელმაც ვითომ კავკასია გარყვნა და საზღვარზე მოთარეშე ყაჩაღებისაგანაც კი ვერ დაიფარა ქვეყანა. საზოგადოდ გრაფი პფეილი ყველაფერზე „ნოვოე ვრემიას“ ეთანხმება და რუსეთს რეპრესიის გაძლიერებას ურჩევს. ერთი გაზეთი გერმანიის დიპლომატიას აქებს: სპარსეთში თავისი საეკონომიო ინტერესები უნზრუნველჰყოო. გაზეთი პირდაპირ ამბობს, სპარეთის დანაწალება გერმანიისთვის ხელსაყრელი იქნება, რუსეთი და ინგლისი ერთმანეთს შეეტაკებიან და მათი შეთანხმებაც დაირღვევაო.

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს შეუძლებელად მიაჩნია ყაზვინიდან რუსის ჯარის გამოყვანა, ყაზვინის რაზმის ერთ ნაწილს რეშტს გაჰგზავნიან, სადაც რუსებსა და სპარსელებს სროლა ჰქონდათ.

რუსეთი და ინგლისი თურმე მოითხოვენ სპარსეთისაგან საფინანსო განყოფილების გამგედ მეორე ხარისხოვან (გარდა შვეციისა) სახელმწიფოს ქვეშევრდომი მიიწვიოს.

# ჩინეთის რევოლუცია

**დეპეშები.**

**პეკინი.** გაზეთებში დაბეჭდილია მინისტრთა საბჭოს განკარგულება. საბჭო აღნიშნავს მთავრობის კრიტიკულ მდგომარეობას და ამბობს, თუ მეფემ ტახტზე ხელი აიღო, ძალიან საქებურად მოიქცევა და სხვა მეფეთა გადადგომას არ დაემსგავსებაო. ამისთანა შემთხვევაში სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის ჩინელნი და მანჯურნი უნდა შეერთდნენ. საბჭო მანჯურთა კორპუსის უფროსებს ურჩევს, ჯარს ჩააგონეთ ესა და თანაც დაჰპირდით, რომ მთავრობა ეცდება ყოველიფრით დაეხმაროს ჯარსაო.

მეოცე დივიზიელებმა ჩჟილის საპროვინციო საკრებულოს დეპეშით შეატყობინეს, რესპუბლიკის მომხრენი ვართ და დელეგატი გამოჰგზავნეთ მოსალაპარაკებლადაო. თიანძინის ჯარის უფროსი ჩჟილის პროვინციას ამაგრებს და ჰსურს რესპუბლიკელებთა დაპყრობისაგან დაიცვს.

**ჩიფუ.** სიმაგრეში კიდევ აფეთქდა ყუმბარა. ორი მოჰკლა, რამდენიმე დააშავა.

**ხანკოუ.** ქუბეის ვიცე-კოროლი პეკინს წავიდა. იმპერატორის ჯარი უკან დახევას ჰთაკილობს. 18 დეკემბერს მთელ დღეს სროლა არ შეწყვეტილა.

**შანჰაი.** სამშვიდობო კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. გადასწყვიტეს, საეროვნო კრება მოიწვიონ სახელმწიფო წესწყობილების ფორმის ამოსარჩევად. დელეგატებს სხვა და სხვა პროვინციათა გარდა, გამოჰგზავნიან ტიბეტი, მონგოლეთი და ჩინეთის სხვა ქვეშევრდმი ქვეყნები. დელეგატთა უმრავლესობა უკვე შანჰაიშია, ზოგიერთი დეპეშით დაიბარეს. დროებით მთავრობის მეთაურად სუნიატ-სენი დანიშნეს.

**ხარბინი.** ციციკარის გუბერნატორი იუწყება, გაწვრთნილი ჯარის კაცი მუკდენში სულ 1100, სხვები ყველა გაიქცა, გუბერნატორი შველასა თხოულობს. მუკდენიდან იუწყებიან, საიდუმლოდ აქ ქვრივი დედოფალი და იმპერატორი მოვიდა. ნანკინში რევოლუციის მეთაურთ ბჭობა ჰქონდათ მონგოლეთის თაობაზე და გადასწყვიტეს ჩინეთის სამფლობელოდ ჩასთვალონ იგი, მხოლოდ ავტონომია ექნება მინიჭებული და სუვერენიტეტს ჩინეთის დამშვიდების შემდეგ აღადგენენ.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო დეპარტამენტის მოხელენი ამბობენ, ამერიკა ჩინეთის რესპუბლიკას არ აღიარებს, ვიდრე მონარქისტებს წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიანთო. მაგრამ ეს არ დაუშლის შტატების წარმომადგენლებს მოლაპარაკება იქონიონ რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან ჩინეთში ამერიკის ინტერესების დაცვასა და არეულობის მოსპობის თაობაზე.

**ტოკიო.** ნახევრად ოფიციოზი „იამატო“ ლაპარაკობს, ინგლისი და იაპონია უნდა შეეცადნენ ჩინეთში არეულობის მოსპობასაო.

**პეკინი.** ჩჟილის კლუბში ხვალ კრება უნდა გაიმართოს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, თუ იმპერატორმა ტახტზე ხელი აიღო და მისი გვარეულობაც ქალაქიდან გავიდა.

### გაზეთებიდან.

**სუნიატსენი**

„ნიუ-იორკ ჰერალდს“ პეკინიდან შემდეგს ატყობინებენ: რესპუბლიკას ამ დღეებში გამოაცხადებენ. პრეზიდენტად სუნიატსენს აირჩევენ. ამის გამო ეხლავე სტყობილობენ, თუ როგორ შეხვდებიან სახელმწიფონი ამ ამბავსა. სუნიატსენი დროებით მთავრობას შეადგენს და შემდეგ მეფეს პირობად დაუდებს; შენ თითონ აიღე ხელი ტახტზე, პეკინზე გამოვილაშქრებო. ექიმმა სუნიატსენმა თვრამეტ პროვინციისაგან უკვე მიიღო დასტური რესპუბლიკის გამოცხადებისა და პრეზიდენტად არჩევისა. სუნიატსენი შანჰაის სამშვიდობო კონფერენციისაგან არას გამოელის და ბრძოლისათვის ემზადება. რესპუბლიკა ამერიკის ტიპისა უნდა იყოს და პრეზიდენტსაც იგივე უფლება ექნება, რაც ამერიკის პრეზიდენტს აქვს.

**იუანშიკაი.**

იუანშიკაის სამსახურიდან გადადგომას მოელიან, ეხლა იუნშიკაის ალარავინ ენდობა სასახლეში, დედოფლისა და ბატონიშვილთა თანადასწრებით თათბირი მოხდა. ბატონიშვილნი თურმე იუანშიკაის ორგულობას აბრალებდნენ: რევოლუციონერებს ევაჭრებოდა და ათის წლის პრეზიდენტობასა სთხოვდაო. იუანშიკაის უთქვამს, დინასტიის გადარჩენა კიდევ შესაძლებელია, თუ იმ აუარებელ განძს მოვიხმართ რევოლუციასთან საბრძოლველად, რაც მეფის გვარეულობას ეკუთვნისო. თუ ბრძოლა სახელმწიფოს ხარჯით გწადიანთ, ამაოდ, რადგან ხალხი არ დაგეთანხმებათ და, ფულს არ დაგახარჯვინებთო.

# იტალია-ოსმალეთის ომი

**დეპეშები.**

**მალიტა.** ინგლისის კრეისერმა „სიფოლკმა“ ბრძანება მიიღო ეგვიპტეს საჩქაროდ წერილი წაიღოს. „რეიტერის“ სიტყვით, ინგლისი სამხედრო გემს იმისთვისა ჰგზავნის, რომ ეგვიპტის ნეიტრალობა დაიცვას.

### გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.

**ოსმალთა იერში.**

სტამბოლში ამბავი მისულა, ტობრუკში იტალიელთა ორ პოზიციას ოსმალნი დაეცნენო. იტალიელებმა დიდად დაზარალებულთ უკან დაიხიეს. ოსმალებმა ბევრი ზარბაზანი და სურსათი წაართვესო.

ოსმალებს აუღიათ ტობრუკში ერთი სიმაგრე. შიგ მყოფი იტალიელთა რაზმი თითქმის გაანადგურეს. იტალიელთა ქვეითა ჯარი და არტილერია იძულებული იყო ნაპირისკენ გაქცეულიყო, რის დროსაც თითქმის გაანახევრეს ოსმალებმა.

— სამობილიზაციოდ მთავრობამ კიდევ 8 მილიონი მანეთი გადასდო. კირენაიკს გასაგზავნად სამი პოლკი შეაგროვეს.

— ერთს ინგლისელ ჟურნალისტს მოუხერხებია და ოსმალთა ბანაკი დაუთვალიერებია. ყოველ დღე, თურმე, აუარებელი მოხალისენი მოდიან. ოსმალებს მშვენიერი არტილერია აქვთ და არც სხვა იარაღი აკლიათ. მათ ბევჯერ დაუჭერიათ იტალიელთა ქარავნები, იარაღით დატვირთულნი. იტალიელები, თურმე, ზოგ დამარცხებასაც კი გამარჯვებად იხსენიებდნენ თავის ცნობებში. ეხლა თურმე ოსმალნი ენვერბეის მეთაურობით ბენგაზისა და დერნის ასაღებად ემზადებიან. იტალიელთა ჯარის უფროსები გენერალ კანევას დამხმარე რაზმსა სთხოვენ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

19 დეკემბერი

## საზღვარ-გარედ.

**სტამბოლი.** ხონთქარმა შეიხ-ულ-ისლამად ეგვიპტის დიდი ყადი ნესიმ-ეფენდი დანიშნა. სამხედრო მინისტრად ისევ მაჰმუდ-შევკეთია. ოპოზიციამ გადასწყვიტა. ობსტრუქცია განაგრძოს. ალბანელთა დეპუტატები გამოვიდნენ „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტიდან, „ტანინი" ოპოზიციის პოლიტიკას კრიტიკას უწევს, სხვა გაზეთები კი აღნიშნავენ, პარტიათა შეუთანხმებლობა „ერთობის და პროგრესის" კომიტეტის ბრალიაო. ქუჩებში ჟანდარმთა რაზმები დადიან.

**ბელგრადი.** კრაგუევაც-ნიშის გზაზე გვირაბი 15 ადლის სიგრძეზე ჩამოიქცა და 19 მუშა დაიტანა.

**ზადარი.** გამოაქვეყნეს განკარგულება, რის ძალითაც სერბიულ-ხორვატული ენა დალმაციაში ყველგან უნდა იხმარებოდეს, გარდა სამხედრო უწყებისა. „ნაროდნი ლისტი" სწერს, საფინანსო უწყებამ განაცხადა, მაგ განკარგულებას ვერ დავემორჩილებითო. გაზეთი დეპუტატებს საპროტესტოდ მოუწოდებს, რადგან შეთანხმება დაარღვიესო.

## რუსეთი.

სამოსამართლო პალატის განსაკუთრებითმა შემადგენლებამ დაიწყო სოც.-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტის 12 წევრის საქმის გარჩევა.

**პეტერბურგი.** ცნობათა მიმცემ ბიუროს შეუტყვია, ტყუილია, ვითომც საფრანგეთის მთავრობას რუსეთის პეკინის ელჩის კოროსტოვცევზე საჩივარი განეცხადებინოს გარეშე საქმეთა სამინისტროში.

გაზეთი „ზვეზდა" დააჯარიმეს „დეპუტატის სიტყვის თავისუფლების გაუქმებისა" და „შიმშილის" შესახებ წერილების გამო.

**ეკატერინოსლავი.** ამერიკის მიერ რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მოსპოს ამერიკის ნაწარმოებთა აგენტურა.

**მინსკი.** 6 პატიმარს ჩამოღრჩობა გადაუწყვიტეს. მათ ბორისოვის საპატიმროში უწესოების მოხდენა და ბოქაულის თანაშემწისა და ზედამხედველის მოკვლა ედებოდათ ბრალად.

# თეატრი და ხელოვნება

**სამუსიკო დილა.** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ კვირას, 18 დეკემბერს, ქართულ გიმნაზიის შენობაში გამართა პირველი სამუსიკო დილა, რომელშიაც საზოგადოების სკოლის მოსწავლენი იღებდნენ მონაწილეობას. დილა ორის განყოფილებისაგან შესდგებოდა. პირველს განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს მოზარდმა ამსრულებლებმა. მეორე განყოფილებაში კი უკვე საკმაოდ დახელოვნებული მოსწავლენი იღებდნენ მონაწილეობას. საერთოდ დილამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სკოლაში, როგორც ეტყობა, ერთნაირად დიდი ყურადღება მიუქცევიათ როგორც ტეხნიკის განვითარებისთვის, ისე მუსიკალურ გემოვნების განვითარებისთვის. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ქ-ნმა გვარამაძემ (ე. ვ. ფოგელის კლასი), რომელმაც ჯერ ცალკე შეასრულა ჰაიდნის ნაწარმოები როიალზე და მერე მოსწავლე გოგინაშვილსა და კევხიევთან ერთად. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე მოსწავლემ პეტროსიანმა (როიალი) და პაპიტაშვილმა (ვიოლონჩელი).

**ქართული თეატრი.** კვირას, 18 დეკემბერს, ა. კარგარეთელის საბენეფისოდ ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა „მადამ სან-ჟენ". სარდუს ეს ცნობილი პიესა საკმაოდ მოძველებულია და ვერც თავისი მხატვრულის ღირსებით მოჰხიბლავს ადამიანს. მთელ პიესაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნაპოლეონის როლი, ისიც იმიტომ, რომ ამ შესანიშნავ პიროვნების ნახვა სცენაზე, თუ განსაკუთრებით ამსრულებელიც კარგია, ცნობის-მოყვარეობას იწვევს. თვით მობენეფისე ასრულებდა მადამ-სან-ჟენის როლს და მოხდენილადაც შეასრულა. პირველი ორი მოქმედება ცოტა მოწყენილად მიდიოდა, მაგრამ სცენა დარბაზობისა ლეფევრის სახლში მხიარულად ჩაატარა ქ-ნმა კარგარეთელმა. ბ-ნი კ. მესხი კარგი ნაპოლეონი იყო. პიესაში საკმაო სიძლიერით არ არის ჩამოყალიბებული განსაკუთრებული თვისებანი ნაპოლეონისა. პიესა ამ მხრივ ცოტა მასალას აძლევს მსახიობს, მაგრამ ბ-ნმა კ. მესხმა ამ მცირე მასალითაც კარგად ისარგებლა. სხვა ამსრულებელნიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია ხუთშაბათს. წარმოადგენენ „უცნობს", რომელიც რუსეთის თითქმის ყველა სცენაზე დაიდგა. ეს პიესა ჯერ ქართულად არ უთამაშიათ.

**სახაზინო თეატრი. ელენე თარხნიშვილის გასტროლები.** მელოდიური, ლირიზმით სავსე მუსიკა ჰუნოს ფაუსტისა ბუნებრივად ეკილოკავება ქ-ნ თარხნიშვილის ნაზ და მგრძნობიარე ხმას. ის უნარი კი სიმღერისა, რომელიც მას შეუძენია იტალიურ სასიმღერო სკოლისაგან საშუალებას აძლევს გამოამჟღოს, თვალ-ნათლივ ჰყოს თითოეულის სამუსიკო ფრაზის თუ ჰანგის მეტყველება. თვით ერთად-ერთი ფრაზა სულ რამოდენიმე სიტყვისაგან შემდგარი, რომლითაც იწყება და თავდება პირველი გამოსვლა მარგალიტასი (მეორე სურათი) ისეთის იერის და კილოს ადევნებით იყო წარმოთქმული, რომ მარტოოდენ ხმის ჟღერა გამცნობდათ ქალის მოკრძალებას, გაოცებას და კდემა მოსილებას. ეს ის წამია, როდესაც ფაუსტი შეხვდება მარგალიტას მოდღესასწაულე ხალხში მოედანზედ და მიიწვევს მას სასეირნოდ. მარგალიტა უარს ეუბნება—არც სილამაზით. არც სამკაულით არ შევეფერები თქვენს რაინდობასაო და გადის. მესამე მოქმედება მარგალიტას როლის ქვაკუთხედია. მას აქ ბევრი სასიმღერო ჰანგები აქვს სხვა და სხვა ელფერისა. ბალლადა მეფის ფიალის შესახებ, ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენდა, ქ-ნ თარხნიშვილისა სცენის სიღრმეში რომ არ მჯდარიყო. ეს ბალლადა იმითია შესანიშნავი, რომ არაკის მოთხრობის დროს მარგალიტას თავში აზრი სულ ფაუსტის შესახებ უტრიალებს და წამდაუწუმ იერი ჰანგისა იცვლება და სწორედ ეს ცვალებადობა უნდა შესაფერის სახის მეტყველებით განასხვაფეროს მომღერალმა. მოშორებით მჯდარ მარგალიტას სახეზე გრძნობათა მოძრაობა არ ირკვევოდა, რამაც, ცოტა არ იყოს, ელფერი დაუკარგა თვით ჰანგსაც. ნაკლებად მოგვეწონა აგრეთვე არია სარკეში მოკეკლუცე მარგალიტასი. ამის ბრალი, ჩვენის აზრით, ისევ ქ-ნ თარხნიშვილისას ედება, რადგანაც სიმღერის დროს ბოლთის ცემა დაიწყო და თანაც სიარულის დროს სარკეში იცქირებოდა. ვერ ვიტყვით, რომ ქ-ნი თარხნიშვილისა მოძრაობის დროს ცქრიალა იყოს, ჰაეროვნებით მოსილი, ამიტომაც მსძენელი, თვისდა უნებურად, კარგ სიმღერასთან ყურადღებას აქცევს ნაკლებად შნოიან გარეგან მოძრაობას... რაღა თქმა უნდა, ამის გამო სიმღერის მიერ გამოწვეული შთაბეჭდილება იჩრდილება. სხვა არა იყოს რა სხეულის მიქან-მოქნა თვით ხმის დენაზედაც ჰმოქმედობს. მაგრამ, ყველა ამასთან, ქ-ნმა თარხნიშვილისამ ისეთის საკვირველის გრძნობით ისეთის სათუთის გულისთქმით განმსჭვალა სადუეტო ჰანგი ფაუსტთან ალერსის დროს, იმდენი მადლი ბუნება ალძრულობისა ჩააწვეთა თითოეულ ხმის ბგერას, რომ საზოგადოება აღძრა ნამდვილის აღტყინებით... ჯერ არც კი დაესრულებინა ჰანგი, რომ ასტყდა ტაშის კვრა და ვაშის ძახილი, რაც იშვიათად გვინახავს თვით შესანიშნავ მომღერალთა მიმართ. უკანასკნელ სურათში ქ-ნმა თარხნიშვილისამ გამოიჩინა საკმაო ხმის ძლიერება საფინალო ტარცეტაში, (სოპრანო, ტენორი და ბასი). და მისი ამოძახილი თვალნათლივად ირკვეოდა დანარჩენ არტისტთა ხმაშეკიდებულ სიმღერის დროს.

დანარჩენ მომღერალთა შორის ძალიან კარგი იყო ქ-ნი კოველკოვისა ზიბელის როლში. იშვიათად გვინახავს ასეთი შნოიანი ზიბელი და თანაც მშვენივრად მომღერალი.

სამაგიეროდ, გაგვაკვირვა ბ-ნმა სერგეევმა, რომლის ჩინებული და მჭახე ხმა რაღაც უილაჯობის მჩენელი იყო მეფისტოფელის როლში. რაღაც ხმა-მიბნედილობის მანია დაჰმართვია, ცდილობს თავის ლამაზ, სისხლით და ხორცით სავსე ხმას ძლიერება ჩამოაცალოს, სულ ცალყბად მღერის, ისე უგუნებოდ, თითქოს ვიღაცაზედ იყოს გაბუტული. ძლიერის გრძნობა-მეტყველებით გაატარა ბ-ნმა ევლახოვმა (ვალენტინი) მეოთხე სურათის ტერცეტი და განსაკუთრებით კი ის სცენა, როცა კვდება.

არაფერს ვიტყვით ბ-ნ კარატოვზედ (ფაუსტი), რადგანაც მისდა სახეიროდ არა გვეთქმის-რა; მაგებას კი ჩვენზედ უფრო კარგად სხვები მოახერხებენ.

შაბათს, 17 დეკემბერს, ქ-ნ თარხნიშვილის მონაწილეობით საოპერო ამხანაგობამ წარმოადგინა პუჩინის ცნობილი ოპერა „ბოგემა". თუმცა ეს ოპერა საამდროვო მუსიკაში ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება და საზოგადოებასაც ძალიან მოსწონს, მაგრამ ჩვენ პირადად სულ სხვა აზრისა ვართ მის ღირსება ნაკლულევანების შესახებ. ამ ოპერის ავტორი ცალყბით რომ წარსულისაკენ იხედება და იქიდან ჰკრეფს მასალას ზეშთაგონებისათვის — მეორე ყბით თანამედროვე ფორმებს უღიმის და ამ ორ კიდეთა შორის უილაჯოდ ლოღიალობს. ამის გამო მის შემოქმედობის სახეს ხშირ ქსელივით რაღაც გადაჰკვრია და აბუნდოვანებს. ჯუზეპე ვერდის და რიჰარდ ვაგნერის მონათვლა ხელოვნების ერთ ემბაზში, მე მგონია, მოუხერხებელია და ამიტომაც ნათლია-პუჩინი, ხან ერთის მიერ ნაკურთხ იმბაზში ჩაეყურყუმელავება ხოლმე ხან მეორესაში. სასიმღერო მელოდიები ვერდისა და საორკესტრო მკვეთრი ჟღარა-ჟღური ვაგნერისა ერთმანეთს ისე უდგება, როგორც ავი რძალმული და პუჩინის მუსიკაც სწორედ ამ სახელოვნებო განხეთქილების მსახველია. მის მელოდიას აკლია ბუნებრივი დენა ჰანგისა, ხმოვანობის ელფერი, სმენის დამატყვევებელი სიტკბოება, საორკესტრო ფერადებს კი შესაფერი იერი, პიროვნების ამა თუ იმ სულიერ ვითარების დამახასიათებელი საკრავების ხმათა წყობილება, შეხამება. რასაკვირველია, ამ ოპერაშიაც არის გამონაკლისი; კარგია, მაგალითად, მეორე მოქმედების ფინალი, მესამე მოქმედების კვარტეტი და მეოთხე მოქმედების საორკესტრო ფინალი.

სიტყვა გაგვიგძელდა და ამიტომ შეუძლებლად ვხდით ამ საოპერო დრამის შინაარსის გადმოცემას. იგი ძალიან მარტივია; იგი აღებულია ლათინთა უბანში (პარიზში) მოსახლე მოსწავლე ახალგაზდობის ცხოვრებიდან. როგორც სადრამო სიუჟეტი იგი ურიგო არ არის.

შაბათის წარმოდგენაში, ქ-ნ თარხნიშვილის გარდა, მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო არტისტნი საოპერო ამხანაგობისა: ქ-ნი შმიდტი, და ბ-ნნი ლაზარევი, საკოლსკი, სერგეევი და ევლახოვი. საზოგადოება ძალიან კმაყოფილი იყო ყველა ხსენებულ არტისტთა მღერა-თამაშით. განსაკუთრებით დიდი ტაშისკვრით და ვაშას ძახილით დააჯილდოვა ქ-ნი თარხნიშვილისა. ოპერის დასასრულ აღტაცებულ საზოგადოების ერთი ნაწილი დაჟინებით იწვევდა ქ-ნ თარხნიშვილისას და არ იშლებოდა, მაგრამ მომღერალი ქალი დაემორჩილა სახაზინო თეატრში არსებულ წესრიგს, რომლითაც არტისტთ ეკრძალებათ სამზე მეტჯერ გამოსვლა საზოგადოების ძახილზე.

ორივე წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. **ი—.**

**ახალციხე.** 3 დეკ., ადგილობრივ დრ. სცენის მოყვარეთაგან, ქ-ნი ვ. დაფქვიაშვილის თაოსნობით გაიმართა ქართულ-რუსული წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადადებული იყო რაბათის წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

დასდგეს ა. ცაგარლის 4 მოქ. დრამა და „Голодный Донъ-жуанъ" ერთ მოქ. ვოდ. ლისენკო-კოვიჩისა და П мѣщанный, ალექსანდროვის დრამატ. კუპლეტები. წარმოდგენა ცეკვით დასრულდა. ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ ჩვეულებრივ კარგად ჩაიარა. შემოსულა 180 მან. ხარჯი 110 მან. წმინდა შემოსავალი 70 მან. დარჩენილა. შეუძლებელია, ჩვენი მოთავეების ნაკლი არ აღვნიშნოთ, რომლებიც ერთობ გვიან იწყებენ წარმოდგენებს, ე. ი. 9, 10 საათიდან და თავდება ნაშუაღამევის 2 და 3 საათზე, რაც ხალხისათვის დიდად შემაწუხებელია, მეტადრე გარეუბნელებისათვის, როგორც, რაბათლებისათვის, რომელთაც უდროვო დროს 2-3 ვერსის სიშორეზე უხდებათ სახლში დაბრუნება, გაუნათლებელ ღადა-ღუდა ქუჩებში.

ამასთანა მდგომარეობის ასაცილებლად, კარგი იქნება, წარმოდგენა 7 საათზე დაიწყებდნენ კარგს იზამენ. ამასთანავე დავსძენ, რომ თეატრში შესასვლელი გადასახადი 50 კაპ. მეტად ბევრია, რის გამო ღარიბი ხალხი გზას უქცევს და ვერ დაიარება წარმოდგენებში, თუმცა სურვილი აქვს დასწრებისა. საკმარისია 20-30 კაპ. გახადონ. მგონია, რაც იაფი იქნება, მეტი ხეირიც ექნებათ. არა ერთხელ გამოთქმულა აზრი ხალხისაგან დიდის საყვედურით, რო არც ერთს საქველმოქმედო მიზნით დადგმულ წარმოდგენის ანგარიშებს არ აცხადებენ გაზეთებში მოთავეები. კარგი იქნება სურვილს აუსრულებდნენ და გამოაცხადებდნენ დაწვრილებით ბილეთებიდან და შეწირულებიდან შესავალ და ხარჯებსაც.

**შხამიანი ისარი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მოვახსენო გაზეთ „კოლხიდაში" მოთავსებულ ბ-ნ გოგებაშვილის მიმართ უკანასკნელ საპასუხო წერილების ავტორს ბ-ნ „პედაგოგს", რომ „განათლების" მე-9 ნომერში მოთავსებულ ბ-ნ „მასწავლებლის" სამართლიანი წერილი მე არ მეკუთვნის, რასაც თავის დროზე პატივცემულ „განათლების" რედაქციასაც შევამოწმებინებ.

ამასთანავე ნება მიბოძეთ მოვახსენო ბ-ნს „პედაგოგს", რომ „სახალხო გაზეთში" ამ საგნის შესახებ მოთავსებული ჩემი წერილებით მე მფარველობა და ვექილობა კი არ გამიწევია ბ-ნ გოგებაშვილისათვის, არამედ გამოვთქვი ჩემი შთაბეჭდილებანი, რომელიც მოახდინა, როგორც ბ-ნ გოგებაშვილის, აგრეთვე ახალ მოდის ბ. „პედაგოგი"-ს წერილებმა. **რისხვა**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**


### გამოსადეგი ცნობანი

### განცხადება.

მხედველობაშია მისაღები, რომ მესაკუთრეთა უმრავლესობა არ იცნობს მომავალ რკინის გზის საჭიროებისათვის მიწების ჩამორთმევის საქმის წესს, რომლის დროსაც თვალსაჩინო სასყიდელი ეძლევათ ხოლმე, და მსურს ამ საქმეში დახმარება გავუწიო. ამისათვის ჩემ მიერ დაარსებულ კაბინეტში მოვიწვიე გამოცდილი კაცი, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის გზის გაყვანის დროს მამულების გამოსყიდვის საქმეში აგენტად იყო, — გ. ანდრეევი, — რომელიც განაგებს მემამულეთა ინტერესების დაცვის საქმეს; შეადგენს მამულის აღწერილობას და დამფასებელთა კომისიის სხდომებშიაც მონაწილეობს. ვისაც ჰსურს ასეთ დახმარებით ისარგებლოს ვთხოვ პირადად მე მომმართოს, ან კაბინეტის გამგეს გ. ანდრეევს, ყოველ დღე დილის 10—1 საათამდე; ჭავჭავაძის ქუჩა № 10.

**თ-დი ლელო დიმიტრის ძე ანდრონიკაშვილი.** (1.995.1).

### განცხადებანი

### სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოდ. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის. მიმებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1646.1)

### სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა

**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**

დაარსებულია 1830 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11 11 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12 1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 12½ 1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა,

**გ. ი. გურგენოვი:** 1 1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1 1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 9 10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 5—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**11—12 ს. 606-ით წამლობა, კონსულტატიურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. 1168.205)

### უდიდესი მოვენი

**სიცოცხლეში ერთხელ!!!**

**600 ნივთი მხოლოდ 3 მ. 90 კ.**

1. მოხდენილი საათი ანკერ. სწორედ მომუშავე, 6 წლის თავდებობით.
2. მშვენიერი ბეჭედი ქალისა, ამერიკულ ბრილიანტით.
3. საუცხოვო ყელსაბამი ქალისა, უთვალავ მარგალიტით და პატენტ. შესაკრავით,
4. საუცხოვო და ლაზათიანი ხამჯური ქალისა, ამერიკულ ოქროსი „დუბლე".
5. მოხდენილი ნესესერი ჯიბისა, ოთხი ნივთით.
6. ერთი წყვილი საყურე ამერიკულ საუცხოვო ბრილიანტით და პატენტ. შესაკრავით.
7. ლაზათიანი და მოხდენილი საფულე ტყავისა.
8. ალბომი 50 საგულისხმო სურათით.
9. მუშტუკ-აპარატი ექიმ კოხისა, თუთუნის უვნებლობისათვის.
10. მექანიკურად საკეტი მაკრატელი, საუცხოვო ბუდით.
11. და 500 მეტი საგულისხმო და გამოსადეგი ნივთი.

სულ 600 ნივთში, მათ შორის საათიც, მხოლოდ 3 მ. 90 კ. ვანგარიშობთ. (მარტო საათიცა ღირს ამ ფასად).

ფას-დადებით გაგზავნა ერთიდან სამ გარნიტურამდე, (თუ ერთად გაიგზავნება, ღირს 56 კ. ციმბირისათვის 95 კ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი: О-ву „Меркурій" Лодзь, с. 10. დაწუნებულს უკანვე ვიღებთ და ფულს ვუბრუნებთ.

მეტელ. 83221. (6.1631.1.)

### ვიღებ საეკლესიო ხამხატვრო საქმეებს.

მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ **სოფ. პრიუტში**, მანგლისის გზა. ტფილისის მახრა, **მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი.** (23.958.1)

### გამოცდილმა მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბეჭიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე**, ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში,**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.49)

### კარაკულის ქუდი

**2 მანეთად**



უმაღლეს ხარისხის ხელოვნურ კარაკულის ნაცრისფერი და შავი ქუდი, შავ წმინდა აბრეშუმ ატლასის სარჩულით დამკვეთელთ და კვეთის დროს უნდა გამოგზავნონ თავის. ზომა ეგზავნებათ ფასდადებ. უბეოდ. გასაგზავნისა და გასახვევ მასალისათვის 55 კ. იხდიან. ციმბირში კი 9. კ. ვინც 3 ქუდს დაიკვეთს გასაგზავნ ხარჯს ჩვენვე ვკისრულობთ. დაწუნებულს უკანვე ვიღებთ.

მისამართ: А. Кавмаку, Лодзь № 18 Д. მეტცლ. 82945. (4 1650 1).

### სატეხნიკო სახლი

### ე. ზ. კესსერი

ტფილისი.

**კანტორა:** მიხეილის პროსპ., **№** 167, ტელეფონი **№** 687.

**მაღაზია:** გოლოვინის პროსპ., № 20 (სახაზ. თეატრის პირდაპირ).

**ერთად-ერთი წარმომადგენელნი:**

ნამდვილ ინგლისურ ნავთმოტორებისა „ზ ო რ ნ ე ბ ი".

ამერიკულ ბამბის საპენტი მანქანები „კ ა რ ვ ე რ"-ის ქარხნისა.

რუსთა საელექტრონო საზოგადოების „ფ ე ს ტ ი ნ გ ა უ ზ"-ისა, კემმერიხისა და ამხ. ღვედების ქარხნისა. ბ ე რ ლ ი ნ ი.

(საელექტრონო სადგური

(ბამბის საპენტი ქარხნისა,

(სარწყავ სადგურებისა,

(წყლის საქაჩავები,

(საფქვავისა და სხვა წისქვილებისა, ხე-ტყის სახერხავ

(ქარხნებისა.

### სასოფლო-სამეურნეო მანქანების დიდი საწყობი

### სრული მოწყობილებანი.

ფასები და ცნობანი უფასოდ.

### სასანიტარო-სატეხნიკო განყოფილება;

**გამართვა:** ცენტრალურ გათბობისა და ყოველნაირ ვენტილაციისა, წყალ-სადენისა და არხებისა, ორთქლის სამრეცხავისა, სადეზინფექციო კამერებისა და სხვა სასანიტარო-სატეხნიკო მოწყობილება.

**საწყობში იშოვება ყოველ ტიპისა და ძალის.**

კინები, ყველა ზომის ლინტერი და სხვა დიდი საწყობი ყველა საელექტრონო-სატეხნიკო საქონლისა, ეკონომიური ლამფები „ვერტექს", 70% ამცირებს ხარჯს.

**საწყობში იშოვება** ყოველგვარი თასმები და ღვედები აქლემის ტყავისა სხვა და სხვა ზომისა. (5 1656 1)

**მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო საზოგადო-ეკონომიურ ჟურნალ კოოპერაცია-ზე წელიწადი მეორე.**

1912 წლის განმავლობაში ჟურნალი გამოვა შემდეგის პროგრამით: 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და ეკონომიურ საკითხებზე, 2 წერილები მუნიციპალურ საკითხებზე, 3) კორესპონდენციები და კოოპერატიულ ცხოვრების მიმოხილვა, **სურათებით;** 4) გამოჩენილ კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფია, სურათებით; 5) თანამედროვე საზოგადო-ეკონომიურ ცხოვრების მიმოხილვა; 6) სავაჭრო განყოფილება; 7) ნარევი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კოოპერაციის პრაქტიკულ საკითხებზე. **ჟურნალში** მიიღებენ მონაწილეობას საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, ჟურნალი ღირს ქუთაისში წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარ წლით 1 მ. 50 კ., თვიურად 30 კ., ხოლო ქუთაისს გარედ, გაგზავნით: წლიურად 3 მ. ნახევარ წლით 1 მან. 75 კ., თვიურად 40 კ. ჟურნალი ცალკე ნომრებად არ გაიყიდება.

**წლიური ხელის მომწერლები** მიიღებენ 1912 წ. განმავლობაში ჟურნალის 40 №№ და რამდენიმე მთლიან **ბროშურებს** დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებაზე და პრაქტიკულ საკითხებზე. გარდა ამისა ყველა ის ხელის მომწერლები, რომლებიც მოაწერენ ხელს ჟურნალზე მიმდინარე 1911 წ. დეკემბრის 31-მდე და შემოიტანენ სრულად წლიურ გადასახადს, 1912 წ. პირველ ნახევარში მიიღებენ საჩუქრად მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამაარსებელის, **ნ. პ. გიბნერის** საუცხოვო წიგნს ქართულად: **„კოოპერაციის სისტემები"** რომელიც ცალკე ღირება 1 მ. 20 კ. **ვთხოვთ** ყველა იმათ, ვინც თანაუგრძნობს ჟურნალის გამოცემას და სურს კოოპერაციის განვითარება ჩვენში, გამართონ ჟურნალზე ხელის მოწერა და მისთვის განცხადების მიღება, რაისთვის მათ გაეგზავნება საკვიტანციო წიგნები პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**განცხადების ფასი:** 1 გვერდზე სტრიქონი პეტიტით 30 კ., უკანასკნელებზე 20 კ. ყოველივე წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ასეთ ადრესით; Кутаисъ, редакція журнала „Кооперація".

1911 წლის განმავლობაში გამოსულ ნომრებში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: „დარიგება მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთათვის," „გამგეობის პირველი ნაბიჯები"; „სასოფლო სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში"; „სახელოსნო კოოპერატივი", „მომხმარებელ საზოგადოების წესდება"; გამოჩენილ კოოპერატორების ბიოგრაფია; ლევ. ტოლსტოისა, პროფ. მიგულინისა, პროფ. კაბლუკოვისა, პროფ. კაუფმანისა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და პროფესორ-ეკონომისტების აზრი კოოპერაციის მნიშვნელობაზე; წერილები ნოე ჟორდანიასი, ვ. თ. ტოტომიანისა და სხვების და აგრეთვე სურათები კოოპერატიულ ცხოვრებიდან.

**1911 წლის კომპლექტი ღირს 1 მ. 50 კ.**

1912 წლის ხელის მომწერლებს, რომლებიც გამოგზავნიან ფულს 31 დეკემბრამდე, **1911** წ. ნომრები დაეთმობათ მხოლოდ 75 კ. რედაქტორ-გამომცემელი **იასონ გაბილაია.**

(6.1654.1)


სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა.